# ON THE FRONTLINE

# Countering Disinformation in Georgia

CHAVCHAVADZE CENTER
Ilia Chavchavadze Center for European Studies and Civic Education

NATO OTAN

UNIVERSITY OF GEORGIA

**წინა ხაზზე - დავამარცხოთ დეზინფორმაცია საქართველოში**

© ა(ა)იპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი, 2023

www.chavchavadzecenter.ge

© ავტორები: ზაზა ბიბილაშვილი, გიორგი ხარებავა,
გიორგი ჯოხაძე, ნინო კალანდაძე

ტექსტის რედაქტორები:
გაიოზ (გია) ჯაფარიძე, ქეთი ქურდოვანიძე

პუბლიკაცია მომზადდა საგრანტო პროექტის ფარგლებში „On the Frontline – Countering Disinformation in Georgia", ნატოს სათაო ოფისის სახალხო დიპლომატიის დეპარტამენტის (NATO PDD) მხარდაჭერით. ტექსტის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები და მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას. აკრძალულია წიგნში შეტანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჭავჭავაძის ცენტრი განსაკუთრებულ მადლობას უხდის საქართველოს უნივერსიტეტს პროექტის მხარდაჭერისთვის.

დამკაბადონებელი და გარეკანის დიზაინერი: ლაშა გაბელია

ISBN 978-9941-8-5991-5

CHAVCHAVADZE CENTER
Ilia Chavchavadze Center for European Studies and Civic Education

NATO OTAN

UNIVERSITY OF GEORGIA

# წინა ხაზზე

## დავამარცხოთ დეზინფორმაცია საქართველოში

# სარჩევი

ძირითადი ტერმინები....3

პროპაგანდა: ისტორია, მიზნები  და მასთან ბრძოლა....4

ხუთი კითხვის მოდელი....6

რუსული პროპაგანდის მცირე მიმოხილვა....7

რუსული ტყუილი N 1 - „აშშ საქართველოსა და უკრაინის ბიოლაბორატორიებში ბიოლოგიურ იარაღს ქმნის და ავრცელებს“....10

რუსული ტყუილი N 2 - „რუსეთი მართლმადიდებლობას და ტრადიციულ ღირებულებებს იცავს, დასავლეთი კი გარყვნილების პროპაგანდას ეწევა და ეროვნული იდენტობის წაშლას ცდილობს“....15

რუსული ტყუილი N 3 - „დასავლეთი რუსეთს დაჰპირდა, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა“....21

რუსული ტყუილი N 4 - „ნატო რუსეთს საფრთხეს უქმნის“....25

რუსული ტყუილი N 5 - „რუსეთი სამოქალაქო ინფრასტრუქტურას არ ბომბავს და მშვიდობიან მოსახლეობას არ ხოცავს“....29

რუსული ტყუილი N 6 - „უკრაინას ნაცისტები მართავენ - უკრაინის ნაცისტურმა ხელისუფლებამ დონბასში რუსულენოვან მოსახლეობას გენოციდი მოუწყო“....34

რუსული ტყუილი N 7 - „რუსეთი გლობალური სუპერსახელმწიფოა“....38

რუსული ტყუილი N 8 - „აშშ ისეთივე აგრესორია, როგორიც რუსეთი“....42

რუსული ტყუილი N 9 - „რუსეთის შიშით მთავრობები გარბიან“....45

რუსული ტყუილი N 10 - „უკრაინელები დაღუპული მებრძოლების ორგანოებით ვაჭრობენ“....48

ბიბლიოგრაფია....50

# რუსული პროპაგანდა თავისუფალი სამყაროს წინააღმდეგ

## კონტექსტი, მაგალითები, კონტრარგუმენტები

### ძირითადი ტერმინები

**პროპაგანდა:** ენციკლოპედია ბრიტანიკა პროპაგანდას განმარტავს, როგორც ფაქტების, არგუმენტების, ჭორების, ნახევრად სიმართლის, ან ტყუილის გავრცელებას საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის მიზნით, რაც ხშირად მასმედიის საშუალებით ხორციელდება.[1] ამ განმარტების მიხედვით, პროპაგანდა აპრიორი ცრუ ინფორმაციის გავრცელებას არ ნიშნავს, ხშირად პროპაგანდისტული გზავნილები სიმართლესაც ეყრდნობა და ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, კონტექსტის გადააზრებაა მნიშვნელოვანი.

**დეზინფორმაცია:** სიცრუის ან კონტექსტის დამახინჯებით ინფორმაციის განზრახ გავრცელება, რაც მიზნად ისახავს სამიზნე აუდიტორიის შეცდომაში შეყვანას და რეალობის დამახინჯებას. მერიემ ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით, დეზინფორმაცია განიმარტება, როგორც ცრუ ინფორმაციის განზრახ და ხშირად შეფარვით გავრცელება (მაგალითად, ჭორების შეთხზვის მეშვეობით), რომლის მიზანიც საჯარო აზრზე გავლენის მოხდენა და სიმართლის გაბუნდოვანებაა.[2]

**დეზინფორმაციის უნებლიეთ გავრცელება (მისინფორმაცია):** დეზინ-ფორმაციის უნებლიეთ გავრცელების აღსანიშნავად ქართულ ენაში სპეციალური ტერმინი ჯერჯერობით არ დამკვიდრებულა. ინგლისურ

1. Lannes Smith, Bruce. 2019. “Propaganda.” In Encyclopædia Britannica. https://www.britannica.com/topic/propaganda.
2. Merriam-Webster. 2019. “Definition of DISINFORMATION.” Merriam-Webster.com. 2019. https://www.merriam-webster.com/dictionary/disinformation.

ენაში მსგავს შემთხვევას მისინფორმაცია - misinformation - ეწოდება. ვარდლის განმარტებით, მისინფორმაცია ცრუ ინფორმაციის წინასწარ განზრახვის გარეშე გავრცელებაა, როდესაც აღნიშნული ინფორმაციის გამავრცელებელი მიზნად არ ისახავს ვინმესთვის რაიმე ზიანის მიყენებას.[3]

**ფსიქოლოგიური ომი:** ენციკლოპედია ბრიტანიკა განმარტავს, როგორც მტრის წინააღმდეგ პროპაგანდის გამოყენებას მისი დემორალიზებისა და თავდაცვისთვის საჭირო უნარების დასუსტების მიზნით.[4]

**ჰიბრიდული ომი:** ზემოხსენებული ტერმინებისგან განსხვავებით, ჰიბრიდული ომის განმარტების ირგვლივ ყველაზე მეტი განსხვავებული აზრი არსებობს. ჰოფმანის განმარტებით, ჰიბრიდული ომი ისეთი სხვადასხვა კომპონენტის გაერთიანებას ნიშნავს, როგორებიცაა კონვენციური შესაძლებლობები, არარეგულარული ტაქტიკები და ფორმირებები, ტერორისტული თავდასხმები, განურჩეველი ძალადობა და იძულება.[5] ამ განმარტებაში მოგვიანებით გლენმა დამატებითი კომპონენტებიც შეიტანა, რომელთა თანახმადაც, ომის წარმოების კონვენციურ, არარეგულარულ, ტერორისტულ და კრიმინალურ მეთოდებთან ერთად ჰიბრიდული ომი პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, სოციალური და საინფორმაციო საშუალებების გამოყენებასაც გულისხმობს.[6] აღნიშნული განმარტების მიხედვით, პროპაგანდა შეგვიძლია ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ ინსტრუმენტად განვიხილოთ.

## პროპაგანდა: ისტორია, მიზნები და მასთან ბრძოლა

სამხედრო-პოლიტიკური მიზნებისთვის გარკვეული ინფორმაციის გავრცელება ადამიანმა ჯერ კიდევ დამწერლობის გამოგონებამდე დაიწყო. პროპაგანდისტული ინფორმაციის გავრცელების პირველ დადასტურებულ მაგალითებს ძველ მესოპოტამიაში ვხვდებით. დღემდეა შემორჩენილი ათასწლეულების წინანდელი არქიტექტურის ნიმუშები, რომლებზეც იმდროინდელი ქალაქების კედლებსა და საჯარო

3. Wardle, Claire. 2017. Information Disorder: Toward an Interdisciplinary Framework for Research and Policymaking. Council of Europe.
4. The Editors of Encyclopedia Britannica. 2015. “Psychological Warfare.” In Encyclopædia Britannica. https://www.britannica.com/topic/psychological-warfare.
5. Hoffman, Frank G. 2007. Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars. Arlington, VA: Potomac Institute for Policy Studies.
6. Glenn, Russell W. 2009. “Thoughts on “Hybrid” Conflict.” Small Wars Journal. https://smallwarsjournal.com/blog/journal/docs-temp/188-glenn.pdf. Accessed on 5 Octomber, 2023.

თავშეყრის ადგილებში სამხედრო გამარჯვებების სცენები და ქალაქის მფარველი ღმერთებია გამოსახული. მსგავსი სცენების გამოსახვის ერთ-ერთი მიზანი უცხოელებისთვის ამ ქალაქის, ხოლო ქალაქის მცხოვრებთათვის ხელისუფლის ძლევამოსილების დემონსტრირება იყო, ადგილობრივი ელიტებისთვის კი მასების კონსოლიდაციისა და მობილიზების საშუალებას წარმოადგენდა.

პროპაგანდის ძალას კარგად აცნობიერებდნენ ძველი ბერძნებიც. ალექსანდრე დიდის სამხედრო გამარჯვებების თანმდევი „პროპაგანდისტული“ ოპერაცია იყო დაპყრობილ ადგილებში მთავარსარდლის სახელობის ქალაქების დაარსება, მისი გამოსახვა ხელოვნებაში, ალექსანდრეს შესახებ გავრცელებული ლეგენდები მის ღმერთებთან სიახლოვეზე და ა.შ. მსგავსი ოპერაცია ალექსანდრე დიდს მოწინააღმდეგეების დემორალიზაციასა და დაპყრობილ ტერიტორიებზე გავლენის შენარჩუნებაში ეხმარებოდა.

საუკუნეთა შემდგომ წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობის ზრდამ, საბეჭდი მანქანის გამოგონებამ, ბეჭდური მედიის შემოსვლამ, რადიოსა და ტელევიზიის გამოგონებამ და ბოლოს ინტერნეტისა და სოციალური მედიის მასობრივმა გავრცელებამ კიდევ უფრო გაზარდა ინფორმაციის როლი  და შესაძლებელი გახადა მისი ცენტრალიზებული გამოყენება სამხედრო-პოლიტიკური მიზნებისთვის.

ეპოქას, რომელშიც ვცხოვრობთ, უკვე შეერქვა „საინფორმაციო ერა“ ან „ინფორმაციული ერა“. არასდროს კაცობრიობის ისტორიაში ერთბაშად ამდენი ინფორმაცია არ ყოფილა ცირკულაციაში და ერთდროულად ამდენი ადამიანისთვის ხელმისაწვდომი. ეს, ბევრ სიკეთესთან ერთად, საფრთხეებსაც შეიცავს. მტრულად განწყობილ ქვეყნებსა თუ მათთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს ყოველწუთიერ რეჟიმში შეუძლიათ პროპაგანდისტული გზავნილების სამიზნე აუდიტორიამდე მიტანა. როგორც წესი, ასეთი მესიჯები კარგად არის შეფუთული, ხშირად შეიძლება, სიმართლის მარცვალსაც შეიცავდეს, მაგრამ დამახინჯებული კონტექსტით იყოს მოწოდებული, რაც განსაზღვრავს მათ გავლენას მიმღები ადამიანის ქცევაზე.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე სამყაროში, განსაკუთრებით კი, რუსეთის მსგავსი აგრესიული ქვეყნის მეზობლად მდებარე სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ ხერხების ცოდნა, რომლებიც პროპაგანდისტული გზავნილების ამოცნობისთვისაა საჭირო. ხშირად აღნიშნული პროპაგანდა იმდენად დახვეწილია, დეზინფორმაციების ნაკადი - იმდენად თანმიმდევრული, რომ გაწაფულ თვალსაც კი უჭირს მათი დროული ამოცნობა.

პროპაგანდასთან ბრძოლას მრავალი განზომილება აქვს. უპირველეს ყოვლისა, პროპაგანდის წინააღმდეგ კონტრზომები უნდა მიიღოს

სახელმწიფომ, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია პროპაგანდა. სახელმწიფოს შესაბამისმა ინსტიტუტებმა უნდა გაზარდონ საზოგადოების მედეგობა და აამაღლონ მოქალაქეთა ცნობიერება პროპაგანდასთან ბრძოლის მიმართულებით. პროპაგანდასთან ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რიგითი მოქალაქეებიც. ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება მედეგია მტრის პროპაგანდისტული გზავნილებისადმი. პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად თითოეულმა მოქალაქემ კრიტიკული კითხვები უნდა დასვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერმა ჩვენგანმა შეიძლება, მტრის პროპაგანდის გავრცელებას უნებლიეთ შეუწყოს ხელი.

## ხუთი კითხვის მოდელი

პროპაგანდისტული გზავნილების ავტორები ფსიქოლოგიური ომის წარმოებას ძირითადად ისეთი თემების საშუალებით ცდილობენ, რომლებიც საზოგადოებას აინტერესებს და რომელთა შესახებაც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გავლენის მოხდენა შეუძლია. შესაბამისად, მსგავსი საკითხების ირგვლივ ახალი ინფორმაციის მიღებისას მისი კრიტიკული გააზრება აუცილებელია. სიახლეების სწრაფად გაანალიზებაში კონკრეტული კითხვების დასმა გვეხმარება. ეს კითხვებია:

**ვინ?** - იმისთვის, რომ სხვების ბოროტი მიზნების მსხვერპლი არ გავხდეთ, აუცილებლად უნდა დაისვას კითხვა იმის შესახებ, თუ ვინ არის ინფორმაციის გავრცელების წყარო, ვინ ავრცელებს ინფორმაციას?

**რა?** - რა არის გავრცელებული ინფორმაციის მთავარი იდეა და არის თუ არა ის გამყარებული მტკიცებულებებით? რა შეიძლება იყოს მისი გამოქვეყნების მიზანი?

**სად?** - სად შეგვხვდა ეს ინფორმაცია, არის თუ არა ეს წყარო სანდო?

**როდის?** - როდის არის ინფორმაცია გავრცელებული? არის თუ არა ის თანამედროვეობასთან შესაბამისი? თუ ინფორმაცია ისტორიის შესახებ გვიყვება, არის თუ არა შესაბამისი ისტორიული კონტექსტი გათვალისწინებული?

**რატომ?** - დასვით კითხვა, რატომ გამოქვეყნდა ეს ინფორმაცია? დგას თუ არა რაიმე ინტერესი მისი გამოქვეყნების უკან?

ამ კითხვების დასმა დაგვეხმარება კრიტიკულად შევხედოთ ნებისმიერ ინფორმაციას და მარტივად შევძლოთ პროპაგანდისა და დეზინფორმაციების აღმოჩენა.

# რუსული პროპაგანდის მცირე მიმოხილვა

ბოლო წლებში რუსული პროპაგანდა საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი გახდა. მის შესახებ საუბრობენ ექსპერტები, მედიები, მკვლევრები, პოლიტიკოსები და სხვადასხვა სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურები. აღნიშნული თემის მიმართ საჯარო ყურადღება რუსეთსა და დასავლეთს შორის კრემლის მიერ პროვოცირებულმა დაძაბულობამ გაზარდა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რუსეთი პროპაგანდას მანამდე აქტიურად არ იყენებდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსკოვში დემოკრატიული ხელისუფლების ნაცვლად კვლავ ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი რეჟიმი ჩამოყალიბდა, რომელმაც თავისუფალ სამყაროსთან მცირეხნიანი მოჩვენებითი მეგობრობა მალევე დაასრულა და დასავლეთისა და პოსტსაბჭოთა სივრცის წინააღმდეგ ჰიბრიდული ომი გააჩაღა. დასავლეთსა და ევროატლანტიკურ სივრცეში სრულად ინტეგრირებულ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს (ბალტიის სახელმწიფოები) რუსეთი ძირითადად საინფორმაციო ომის საშუალებით ებრძვის, რადგან მათ წინააღმდეგ კონვენციური ომის წარმოებისთვის საკმარისი ძალა არ გააჩნია, საქართველოსა და უკრაინის შემთხვევაში კი სამხედრო ძალის გამოყენებასაც არ ერიდება.

საბჭოთა პროპაგანდისგან განსხვავებით, თანამედროვე რუსეთის პროპაგანდა ნაკლებად იდეოლოგიზებულია. საბჭოთა კავშირის პროპაგანდის ძირითადი ხაზი დასავლურ „იმპერიალისტურ და კაპიტალისტურ“ სამყაროსთან საბჭოთა კომუნისტური სისტემის უპირატესობის დემონსტრირება იყო. ამ ნარატივის მიხედვით, საბჭოთა კავშირი მსოფლიოში „ჩაგრულ მშრომელთა განმათავისუფლებელ“ ძალად პოზიციონირებდა. პროპაგანდის ამ ხაზისთვის დასავლეთი ბოროტებად იყო წარმოდგენილი, საბჭოთა კავშირი კი - სიკეთედ. თანამედროვე რუსეთის შემთხვევაში პროპაგანდა ასე ღიად გამოკვეთილ ხაზს არ მიჰყვება, ის შედარებით არათანამიმდევრულია და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი გზავნილებიც ახასიათებს. King’s College London-ის კვლევის მიხედვით, 2018 წლის 4 მარტს ბრიტანეთში სკრიპალების მოწამვლიდან მომდევნო ოთხი კვირის განმავლობაში რუსეთის მიერ დაფინანსებული სხვადასხვა მედიიდან ერთმანეთის საწინააღმდეგო 138 ნარატივი გავრცელდა.[7] **განსხვავებული ნარატივების გავრცელება რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი ნაწილია, რაც მიზნად ისახავს**

7. King’s College London. 2019. “Russian State Media Weaponises News to Sow Confusion and Division.” Archive.org. King’s College London. March 2019. https://web.archive.org/web/20220112233518/https:/www.kcl.ac.uk/news/how-russian-state-media-weaponises-news.

**სამიზნე აუდიტორიის დაბნევას, ჭარბი ინფორმაციის შემოდინებას და ე.წ. სტრატეგიული ბუნდოვანების მიღწევას.** პოსტსაბჭოთა რუსეთის პროპაგანდა გარკვეულწილად მიუბრუნდა ცარისტული რუსეთის „მესიანისტურ“ იდეას, რომელიც რუსეთს - მართლმადიდებელი ხალხების დამცველად და მოსკოვს „მესამე რომად“ წარმოაჩენდა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, თანამედროვე რუსულ პროპაგანდას 5 მთავარი ხაზი ახასიათებს:

1. რუსეთის უდანაშაულო მსხვერპლად წარმოჩენა (მაგალითად, 2014 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრაზე დასავლეთის მწვავე პასუხი კრემლის პროპაგანდისტებმა „რუსოფობიად“ შერაცხეს);

2. ისტორიული რევიზიონიზმი (რუსეთი ხშირად მიმართავს ისტორიის გადაწერის ხერხს, ის ცდილობს, ისტორიიდან გააქროს რუსეთისთვის არასასიამოვნო მომენტები, მაგალითად, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, ჰოლოდომორი, გულაგების არაადამიანური სისტემა, კატინის ხოცვა-ჟლეტა და ა.შ.[8]);

3. რუსეთი წარმოაჩენს, თითქოს დასავლური ცივილიზაციის კოლაფსი გარდაუვალია (ამ ხაზში ერთიანდება ნარატივი რუსეთის „სულიერებასთან, ტრადიციებსა და მორალურობასთან“ და დასავლეთის „გარყვნილებასთან“ დაკავშირებით);

4. აშშ რევოლუციების დამფინანსებელია (ამ ნარატივის მიხედვით, მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, ადგილობრივი მოსახლეობის ბრძოლა უკეთესი სახელმწიფოს ასაშენებლად, არა ამ ქვეყნების მოქალაქეთა ნება, არამედ აშშ-ის მიერ მოწყობილი რევოლუციებია);

5. რეალობაა ნებისმიერი რამ, რასაც რუსეთი იტყვის.[9] რუსი პროპაგანდისტები ხშირად ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ამბებს ავრცელებენ, მაგრამ თითოეულ მათგანზე ამტკიცებენ, რომ ეს სიმართლეა. სკრიპალების ზემოხსენებული მაგალითი ამის მორიგ დასტურს წარმოადგენს.

მსგავსი აგრესიული, მტრულად განწყობილი სახელმწიფოს გვერდით არსებობით გამოწვეული პრობლემები საქართველომ საკუთარ თავზე

8. ავტორთა შენიშვნა: რუსეთის ფედერაცია ისტორიის რევიზიას აქტიურად იყენებს საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ. უკრაინის შემთხვევაში, კრემლი ამტკიცებს, რომ ეს ქვეყანა ლენინმა შექმნა. პუტინს არაერთხელ უცდია საქართველოს ისტორიის გაყალბებაც. მაგალითად, ის ამტკიცებდა, რომ „სამხრეთ ოსეთი“ რუსეთს 1774 წელს შეუერთდა, რომ საქართველომ 1918 წელს აფხაზეთი გერმანული ჯარის დახმარებით დაიპყრო, რომ საქართველომ აფხაზებისა და ოსების მისამართით გენოციდი განახორციელა და ა.შ.

9. “Russia’s Top Five Persistent Disinformation Narratives.” 2022. United States Department of State. January 20, 2022. https://www.state.gov/russias-top-five-persistent-disinformation-narratives/.

მრავალჯერ იწვნია. ჩვენი სახელმწიფო დღესაც ომის პირობებშია რუსეთთან, რომელსაც 1992-1993 წლებიდან ოკუპირებული აქვს ქართული ტერიტორიები, რასაც 2008 წელს კოდორი და ახალგორი მიემატა, მცოცავი ოკუპაცია კი დღემდე გრძელდება. მოსკოვი ჰიბრიდული ომის მეშვეობით დღემდე ებრძვის ქართულ სახელმწიფოს.

თავდაცვითი ძალისხმევის ამ ეტაპზე საუკეთესო თავდაცვა მოქალაქეთა ინფორმირებულობაა, რაც მედეგი საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველია. სწორედ ამიტომ გთავაზობთ რუსული პროპაგანდის მიერ საქართველოსა და საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების წინააღმდეგ შეთხზულ რამდენიმე მითს/ლეგენდას, რომელთა გამოაშკარავება საქართველოს მოქალაქეთა წინააღმდეგობის უნარის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

# რუსული ტყუილი N 1

## „აშშ საქართველოსა და უკრაინის ბიოლაბორატორიებში ბიოლოგიურ იარაღს ქმნის და ავრცელებს“

**მითის ანატომია:** რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და კრემლის მიმართ სიმპათიებით განწყობილმა მედიებმა საქართველოსა და უკრაინაში არსებულ ბიოლაბორატორიებზე და ამ ლაბორატორიებში ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე საუბარი 2011 წლიდან დაიწყეს. ზემოხსენებულ საკითხზე პირველი დადასტურებული განცხადება რუსეთის დუმის დეპუტატმა, გენადი ონიშჩენკომ, გააკეთა. მისი თქმით, ამერიკელების მიერ დაფინანსებულ ლუგარის ლაბორატორიაში საქართველო ღორის გრიპის ვირუსს ქმნიდა, რომელიც მიმართული იყო რუსეთის სამხრეთ რეგიონების ეკონომიკური საბოტაჟისკენ.[10] 2018 წელს საქართველოს უშიშროების მინისტრმა (1993-1995 წლებში), იგორ გიორგაძემ, განაცხადა, რომ ლუგარის ლაბორატორიაში ქართველ სამხედროებზე სახიფათო ექსპერიმენტები ტარდებოდა, რომლებშიც ამერიკელი ექიმები და სამხედროები მონაწილეობდნენ.[11] ლუგარის ლაბორატორიაში ქართველ სამხედროებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებს „ჟურნალისტური გამოძიება“ მიუძღვნა დილიანა გაიტანჯიევმა, რომელმაც მრავალი ყალბი დოკუმენტი გამოაქვეყნა ლაბორატორიაში მიმდინარე ცდების ავთენტიკურობის დასადასტურებლად.[12]

უკრაინაში არსებულ ამერიკულ ბიოლაბორატორიებზე სპეკულაცია რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ინტერვენციის

10. “Civil Georgia | Head of RosPotrebNadzor Accuses Georgia of ‘Sabotaging’ Russia with Swine Fever.” n.d. Civil.ge. Accessed September 29, 2023. https://civil.ge/archives/186295.
11. “Американских биологов обвинили в экспериментах над грузинами.” 2018. Коммерсантъ. September 11, 2018. https://www.kommersant.ru/doc/3738485.
12. https://southfront.org/pentagon-bio-weapons/

შემდეგ გააქტიურდა. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ დონბასის „გათავისუფლების“ ოპერაციის მიმდინარეობისას, დონეცკისა და ლუჰანსკის ოლქის ტერიტორიებზე მიაგნეს ამერიკულ ბიოლაბორატორიებს, რომლებშიც ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე მუშაობდნენ. *„ვიქტორია ნულანდმა კონგრესში გამოსვლისას დაადასტურა უკრაინაში ამერიკული ბიოლაბორატორიების არსებობა. მან განაცხადა, რომ ამერიკამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ლაბორატორიის ნივთიერებები რუსეთს ხელში არ ჩაუვარდეს. რა ნივთიერებებზეა საუბარი, ამას დიდი გამოცნობა არ სჭირდება. ეს ნივთიერებები არალეგალურია და უკრაინის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების კრიმინალურ აქტივობებს ადასტურებს“*[13] - ეს სიტყვები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის დირექტორს, მარია ზახაროვას, ეკუთვნის. 2022 წლის მარტში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, იგორ კონაშენკომ, განაცხადა, რომ დონბასში რუსებმა მიაგნეს სამხედრო-ბიოლოგიური პროგრამის კვალს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ფინანსდებოდა. კონაშენკოს თქმით, *„მიღებულმა დოკუმენტებმა დაადასტურა, რომ რუსეთის სიახლოვეს მდებარე უკრაინულ ბიოლაბორატორიებში ბიოლოგიური იარაღი იქმნებოდა“.*[14]

**რეალობა:**

**1. არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ საქართველოსა და უკრაინაში არსებულ ლაბორატორიებში ბიოლოგიური იარაღი მზადდება. პირიქით, ლაბორატორიები აქტიურად მუშაობენ ბიოლოგიური საფრთხის პრევენციისა და აღმოფხვრის პროექტებზე** - საქართველოში რიჩარდ ლუგარის ლაბორატორია 2013 წელს გაიხსნა და, აქედან მოყოლებული, მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მწვავე რესპირატორული ინფექციების გამომწვევი მიზეზების შესწავლა, ნოროვირუსის (NoV) და ენტეროტოქსიგენური ნაწლავის ჩხირის (ETEC) პრევალენტობის განსაზღვრა, აივ ინფიცირების ინციდენტობის შეფასების ზუსტი და პრაქტიკული ბიოლოგიური ინსტრუმენტების განსაზღვრა, საქართველოში არსებული კოღოების (ინვაზიური კოღოების ჩათვლით), ქვიშის რწყილებისა და ტკიპების იდენტიფიცირება და მათი

13. “Захарова: материалы в лабораториях США на Украине доказывают их преступную деятельность - ТАСС.” n.d. ТАСС. Accessed September 29, 2023. https://tass.ru/politika/14006329?utm_source=google.com&utm_medium=organic&utm_campaign=google.com&utm_referrer=google.com.

14. Марина Совина. 2022. “В США подтвердили наличие биологических исследовательских объектов на Украине.” Lenta.RU. Lenta.ru. March 9, 2022. https://lenta.ru/news/2022/03/09/nuland/.

გავრცელების არეალის დადგენა და ა.შ.[15] ლუგარის ლაბორატორიის მთავარი დანიშნულება საქართველოს მოქალაქეებისთვის მთავრობის მიერ ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფაში დახმარებაა.

ამერიკის შეერთებული შტატები უკრაინის მთავრობასთან საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით მომუშავე ლაბორატორიების ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდის საკითხში 2005 წლიდან თანამშრომლობს,[16] რომლის ფარგლებშიც ქვეყნები ერთმანეთს ბიოლოგიური საფრთხეების შესახებ ინფორმაციას უზიარებენ და ამ საფრთხეების პრევენციაზე მუშაობენ და არა ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე, რასაც რუსული წყაროები ამტკიცებენ. ზახაროვას მიერ მოყვანილი ციტატა ვიქტორია ნულანდის მიერ უკრაინაში ბიოლოგიური იარაღის შექმნასთან დაკავშირებით დეზინფორმაციის გავრცელების მცდელობაა. ნულანდმა კონგრესში გამოსვლისას განაცხადა, რომ უკრაინას აქვს ბიოლოგიური კვლევითი დაწესებულებები, რომლებიც ბიოლოგიური იარაღის შექმნასა და გავრცელებას კი არა, პირიქით, მის პრევენციას ემსახურება. მისი თქმით, უკრაინაში არსებული ლაბორატორიების საქმიანობა ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებებზე ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული ზედამხედველობის განხორციელებას, დაავადებათა შემთხვევების, ეპიდემიური აფეთქებებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვა საფრთხეების დროულ აღმოჩენასა და კვლევას მოიცავს.

დეზინფორმაციაა კრემლის მტკიცება უკრაინის მხრიდან ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობასთან დაკავშირებითაც. რუსული მედიები ავრცელებდნენ ნარატივს, თითქოს დონბასის დაკავებისას რუსულმა არმიამ ამ იარაღზე მუშაობის კვალს მიაგნო. თუ მართლაც ასე იყო, გაუგებარია რატომ არ წარუდგინეს მსოფლიოს მათ ეს მტკიცებულებები.

**2. რუსულ სამეცნიერო კონტინგენტს ლუგარის ლაბორატორიამ არაერთხელ შესთავაზა ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც მათ ცენტრის ერთობლივად დათვალიერება შეეძლოთ. რუსულმა მხარემ ყველა შეთავაზება უარყო** - ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა 2018 წელს უკავშირდება, როდესაც საქართველომ დამოუკიდებელი სამეცნიერო ექსპერტების ჯგუფი მოიწვია. ლუგარის ლაბორატორიას 2018 წელს 17 სხვადასხვა ქვეყნის 22 მკვლევარი ეწვია. შეხვედრებზე მოიწვიეს რუსი

15. გამჭვირვალობის კოლეგიალური შეფასების ვიზიტი ლუგარის ცენტრში, საქართველო დამოუკიდებელი ანგარიში. 2018. წარდგენილია საქართველოს მიერ. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://test.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=ea7d9f23-19a7-4f01-9fab-5a4ad575f468.

16. "WEAPONS Proliferation Agreement between the UNITED STATES of AMERICA and UKRAINE Signed at Kiev." 2005. https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/02/05-829-Ukraine-Weapons.pdf.

ექსპერტებიც, რომლებმაც ეს შემოთავაზება არ მიიღეს. მოწვეულმა სტუმრებმა გამოქვეყნებულ ერთობლივ ანგარიშში აღნიშნეს, რომ *„ლაბორატორია თავის საქმიანობებში მნიშვნელოვან გამჭვირვალობას ავლენს. ვიზიტით მყოფმა ჯგუფმა ვერაფერი გამოავლინა, რაც შეუსაბამო იქნებოდა პროფილაქტიკურ, დამცავ და სხვა მშვიდობიან მიზნებთან. ამასთან, ყველა დათვალიერებული აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა შეესაბამებოდა იმ პროფილაქტიკურ, დამცავ და სხვა მშვიდობიან კვლევით და დიაგნოსტიკურ მიზნებს, რაც ცენტრს აქვს გაცხადებული“*.[17] მათი უარი უფრო მეტად ამყარებს არგუმენტს, რომ ლაბორატორიაში ბიოლოგიური იარაღის შექმნასთან დაკავშირებული მტკიცება დეზინფორმაციაა და რომ ლუგარში რუსული სამეცნიერო კონტინგენტის სტუმრობის შემთხვევაში ფარდა აეხდებოდა კრემლის მიერ გავრცელებულ ტყუილს.

**3. რუსული პროპაგანდა ამერიკის შეერთებულ შტატებს აბრალებს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში ბიოლოგიური იარაღის შექმნას, მაშინ, როდესაც თავად რუსეთი: ა) მოკავშირე ბაშარ ასადთან ერთად მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს იყენებდა; ბ) პუტინის რეჟიმის მოწინააღმდეგეებს ნერვული აგენტებით წამლავს; გ)მთელ მსოფლიოს ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის აფეთქებით ემუქრებოდა; დ) გამუდმებით მიმართავს ბირთვული შანტაჟისა და დაშინების პოლიტიკას** - რუსული პროპაგანდისტული გზავნილები ამერიკის მიერ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში ბიოლოგიური იარაღის შექმნის მიზნით განხორციელებული პროგრამების შესახებ საკუთარი დანაშაულებიდან ყურადღების გადატანის მცდელობას წარმოადგენს. სირიაში რუსეთი ძალაუფლების შენარჩუნებაში ეხმარებოდა ბაშარ ასადის რეჟიმს, რომელმაც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი ასზე მეტ შემთხვევაში გამოიყენა.[18] უკრაინაში ომის მიმდინარეობისას, რუსეთი ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის დაკავებით ბირთვულ შანტაჟში ამყოფებდა მსოფლიოს. პუტინის რეჟიმმა 2018 წელს ნერვული აგენტის გამოყენებით მოწამლა ყოფილი

17. “Item 7 of the Provisional Agenda Consideration of the Factual Reports of the Meetings of Experts Reflecting Their Deliberations, Including Possible Outcomes Building Confidence through Transparency: Peer Review Transparency Visit at the Richard Lugar Center for Public Health Research of the National Center for Disease Control and Public Health in Tbilisi, Georgia.” n.d. Accessed September 29, 2023. https://factcheck.ge/storage/media/other/2022-03-17/d5ab6880-a5f6-11ec-882d-39ce50e23ae0.pdf.

18. Arms Control Association. 2012. “Timeline of Syrian Chemical Weapons Activity, 2012-2019 | Arms Control Association.” Armscontrol.org. 2012. https://www.armscontrol.org/factsheets/Timeline-of-Syrian-Chemical-Weapons-Activity.

ორმაგი აგენტი - სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი - იულია.[19] შესაბამისად, რუსეთს არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია ამერიკის მიერ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ბიოლოგიური იარაღის შექმნის თაობაზე, მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული მოქმედებები მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია.

**დასკვნა: კრემლის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოსა და უკრაინაში არსებულ ბიოლაბორატორიებში ბოლოგიური იარაღის შექმნისა და გავრცელების შესახებ ტყუილია. რუსული პროპაგანდის მიზანი საკუთარი დანაშაულების გადაფარვა, „ამერიკულ დანაშაულებზე" ყურადღების გადატანა და ამერიკელების მოტივაციასთან დაკავშირებით ეჭვის გამოწვევაა.**

19. Italy, U. S. Mission. 2022. "Putin's Poisons: 2018 Attack on Sergei Skripal." U.S. Embassy & Consulates in Italy. April 11, 2022. https://it.usembassy.gov/putins-poisons-2018-attack-on-sergei-skripal/.

# რუსული ტყუილი N 2

## „რუსეთი მართლმადიდებლობას და ტრადიციულ ღირებულებებს იცავს, დასავლეთი კი გარყვნილების პროპაგანდას ეწევა და ეროვნული იდენტობის წაშლას ცდილობს“

**მითის ანატომია:** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ კომუნიზმის ახალი მესიანისტური იდეით ჩანაცვლების პროცესი დაიწყო, რომელიც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უპირატესობასა და რუსეთის განსაკუთრებულობას დაეფუძნა. ამ მესიანისტური ხედვის მიხედვით, რუსეთის ფედერაცია მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც ტრადიციული, ოჯახური ღირებულებების სადარაჯოზე დგას. ამავე ნარატივის მიხედვით, რუსეთი კოლექტიური დასავლეთის ერთადერთი საპირწონეა, რომელიც, თავის მხრივ, მართლმადიდებლობას ებრძვის, ეროვნულ იდენტობას გამიზნულად ასუსტებს, მთელ მსოფლიოში „გარყვნილი“ ცხოვრების პროპაგანდას ქადაგებს და, შესაბამისად, ოჯახის ინსტიტუტისთვის ძირის გამოთხრას ცდილობს.[20] მსგავსი პროპაგანდისტული გზავნილები ვრცელდება საქართველოშიც. რუსეთისადმი სიმპათიებით განწყობილი პოლიტიკოსები და მედიები მიზანმიმართულად ავრცელებენ დეზინფორმაციას, რომ საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი მცდარია, რადგან მას ეროვნული იდენტობის დაკარგვისა და ტრადიციული, ოჯახური ღირებულებების გაუფასურებისკენ მივყავართ. „მედიის განვითარების ფონდის“ 2020 წლის ანგარიშის მიხედვით,

20. “The Unexpected Theologian: The Rise of Religious Messaging in Putin’s Re-Making of Russian State Identity > Air University (AU) > Wild Blue Yonder.” n.d. Www.airuniversity.af.edu. https://www.airuniversity.af.edu/Wild-Blue-Yonder/Article-Display/Article/3511835/the-unexpected-theologian-the-rise-of-religious-messaging-in-putins-re-making-o/.

საქართველოში რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მიმართულება დასავლეთის მხრიდან ქართულ იდენტობასთან ბრძოლაა, ყველაზე გავრცელებული გზავნილები კი შემდეგია: 1. დასავლეთი ებრძვის ქრისტიანობას/ეკლესიას; 2. დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალიზმს; 3. დასავლეთი ხელს უწყობს ერთნაირსქესიანი ოჯახების მიერ ბავშვის აყვანის დაკანონებას.[21]

**რეალობა:**

**1. ქართულ ეკლესიასა და ქართულ იდენტობას არა დასავლეთი, არამედ რუსეთი ებრძვის** - რუსეთი უკანასკნელი 3 საუკუნის განმავლობაში მიზანმიმართულად ებრძოდა ქართულ ეკლესიასა და კულტურას. ეკლესიისა და კულტურის განადგურებით ის ცდილობდა ქართული ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის განადგურებას. ზემოხსენებულის მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ისტორიული ფაქტები და მოვლენები:

- 1811 წელს რუსეთმა გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და შექმნა საქართველოს საეგზარქოსო, რომელიც რუსეთის ეკლესიის პირდაპირ დაქვემდებარებაში იყო;
- მე-19 საუკუნეში აიკრძალა ქართული სკოლები და ქართულ ენაზე სწავლა;
- არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის - კირიონ საძაგლიშვილის მკვლელობაში ბოლშევიკური სპეცსამსახურები იყვნენ ჩართულნი;
- რუსეთის ეკლესიის პირდაპირი მითითებით შეილესა და კირით შეთეთრდა ასობით ქართული ტაძარი, მათ შორის: სვეტიცხოველი, ალავერდი, ლურჯი მონასტერი, კაცხის, მანგლისის ეკლესიები და ა.შ. რუსეთის მიერ განადგურდა ალავერდის, სვეტიცხოვლისა და იკორთის ტაძრების კარიბჭეები;
- მე-19 საუკუნეში რუსმა ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა ქართველი ერი ანათემას გადასცა და დაწყევლა;
- ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსირებისა და მოგვიანებით საბჭოთა კავშირში იძულებით გაწევრიანების შემდეგ - 1922-1953 წლებში - დაიხურა 1305 ეკლესია, რომელთა უმრავლესობა ან გაანადგურეს, ან დანიშნულება შეუცვალეს. საბჭოთა კავშირის პერიოდში ქართველებისთვის წმინდა ეკლესიები საცხოვრებელ სახლებად, საწყობებად ან პირუტყვის სადგომებად აქციეს. მაგალითად, დავიდ გარეჯის სამონასტრო

21. კინწურაშვილი თამარ, გოგოლაძე თინა, ცუცქირიძე მარიამ, შეყილაძე ნიკა, გაგნიაშვილი თამარ, გოგაძე სოფო, ლომიძე ხატია, და ჩხაიძე სოფო. 2021. ანტიდასავლური პროპაგანდა 2020. მედიის განვითარების ფონდი.

კომპლექსი საბჭოთა პერიოდში ცხვრის სადგომად გამოიყენებოდა;

- 1978 წელს საბჭოთა კავშირი აპირებდა ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევას, რაც მიზნად ქართული იდენტობის გაქრობას ისახავდა;
- 2010 წელს ოკუპირებულ აფხაზეთში ილორის მონასტერს რუსული გუმბათი დაადგეს, ფასადები თეთრად შეღებეს და ქართული წარწერები შელესეს;
- 2017 წელს სოფელ ნებელდაში პოლიგონის გაკეთების მიზნით განადგურდა მე-8 საუკუნის ქართული ეკლესია და ნამოსახლარი. ასეთი კიდევ ბევრი შემთხვევის ჩამოთვლა შეიძლება.[22]

სწორედ ამას აკეთებს რუსეთის ფედერაცია უკრაინაშიც, სადაც რუსეთმა ომის დაწყების შემდეგ 115-ზე მეტი მართლმადიდებლური ტაძარი და სალოცავი გაანადგურა.[23]

**2. დასავლეთი ქართულ ეკლესიასა და იდენტობას კი არ ებრძვის, პირიქით, საქართველოს რელიგიური და კულტურული ძეგლების აღდგენაში ეხმარება** - დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, ევროპის კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს მილიონობით დოლარის ფინანსური დახმარება გაუწია, რომელიც ქართული რელიგიური და კულტურული ძეგლების აღდგენას მოხმარდა. ჯამურად, ამერიკის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა (AFCP) საქართველოში რელიგიური და კულტურული ძეგლების აღდგენაში დაარსების დღიდან მოყოლებული 2 000 000 აშშ დოლარი დახარჯა.[24] ასე გამოიყურება ამერიკის შეერთებული შტატების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების არასრული ჩამონათვალი საქართველოში:

- 2003-2008 წლებში გელათის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაცია - დაფინანსდა 600 000 აშშ დოლარით;
- 2004 - ატენის სიონის მონასტრის კედლის მხატვრობის შენარჩუნება - დაფინანსდა 30 000 აშშ დოლარით;
- 2008 - თეთრი უდაბნოს მონასტრის ადრექრისტიანული ეპოქის

22. გელავა სოფო. 2017. „მითი: აშშ ებრძვის კულტურულ თვითმყოფადობას, მოსკოვი მესამე რომია." Mythdetector.ge. February 23, 2017. https://mythdetector.ge/ka/mithi-ashsh-ebrdzvis-kulturul-thvithmqhophadobas-moskovi-mesame-romia/.

23. "Over 115 Holy Sites Damaged in Ukraine since Start of Russian Invasion, Top UN Official Tells Security Council, Urging Respect for Religious Freedom | UN Press." n.d. Press.un.org. https://press.un.org/en/2023/sc15366.doc.htm.

24. სოფრომაძე თამარ. 2022. „რომელი საკულტო ნაგებობების რესტავრაციაში დაეხმარა ამერიკა საქართველოს?" Mythdetector.ge. August 8, 2022. https://mythdetector.ge/ka/romeli-sakulto-nagebobebis-restavratsiashi-daekhmara-amerika-saqarthvelos/.

ფრესკების შენარჩუნება - დაფინანსდა 13 665 აშშ დოლარით;

- 2009 - სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ეთნოგრაფიული ნივთების, შუასაუკუნოვანი ხელნაწერებისა და ხატების დაცვა და შენარჩუნება - დაფინანსდა 29 100 აშშ დოლარით;
- 2011 - ხახულის ხატის პრევენციული რესტავრაცია - დაფინანსდა 18 000 აშშ დოლარით;
- 2014-2015 - ეკატერინე დადიანის სასახლის რეაბილიტაცია.
- 2019 - მცხეთის ჯვრის მონასტრის რეაბილიტაცია - დაფინანსდა 600 000 აშშ დოლარით.[25]

რაც შეეხება ევროპის კავშირს, ის 2010 წლიდან ახორციელებს ორ ე.წ. „დაძმობილებულ“ პროექტს: ეროვნული მუზეუმის პროექტს ეროვნული მუზეუმის საქმიანობაში ევროპის კავშირის საუკეთესო გამოცდილების დასანერგად (ბიუჯეტი: 2 მილიონი ევრო) და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების პროგრამას (ბიუჯეტი: 1 მილიონი ევრო). 2012 წლიდან მოყოლებული საქართველოში მოქმედებს აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამა, რომელიც ფოკუსირებულია ქართული კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვაზე.[26] ევროპის კავშირი საქართველოში ახორციელებს პროექტს EU4CULTURE, რომლის ფარგლებში 2021-2024 წლებში ქართული კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებაზე 7.85 მილიონი ევრო უნდა დაიხარჯოს.[27]

მეტიც, ნატოსა და ევროპის კავშირში გაწევრიანებული არიან ისეთი სახელმწიფოები, რომლებშიც მართლმადიდებლური მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენს, მათ შორის: საბერძნეთი, კვიპროსი, მონტენეგრო, ბულგარეთი, რუმინეთი და ა.შ. ევროპის კავშირი ამ სახელმწიფოებში მართლმადიდებლური კულტურის ძეგლების შენარ-

25. გელავა სოფო. 2017. „მითი: აშშ ებრძვის კულტურულ თვითმყოფადობას, მოსკოვი მესამე რომია.“ Mythdetector.ge. February 23, 2017. https://mythdetector.ge/ka/mithi-ashsh-ebrdzvis-kulturul-thvithmqhophadobas-moskovi-mesame-romia/.

26. გელავა სოფო. 2017. „მითი: აშშ ებრძვის კულტურულ თვითმყოფადობას, მოსკოვი მესამე რომია.“ Mythdetector.ge. February 23, 2017. https://mythdetector.ge/ka/mithi-ashsh-ebrdzvis-kulturul-thvithmqhophadobas-moskovi-mesame-romia/.

27. Gvantsa Kokoshvili. 2021. „ევროკავშირის პროექტი EU4Culture საქართველოს რეგიონების ქალაქებს კულტურის განვითარებაში დაეხმარება - EU for Georgia.“ EU for Georgia. September 10, 2021. https://eu4georgia.eu/ka/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98-eu4culture-%E1%83%A1/.

ჩუნება-რესტავრაციაში ყოველწლიურად მილიონობით დოლარს ხარჯავს. მაგალითად, ევროპის კავშირი საბერძნეთში, ათონის მთის სამონასტრო კომპლექსის შენახვა-შენარჩუნებას აფინანსებს.

**3. რუსეთი დასავლეთს გარყვნილი ცხოვრების წესის პროპაგანდაში ადანაშაულებს, მაშინ, როდესაც თვითონ რუსეთი მსოფლიოს „ლიდერია“ თვითმკვლელობების, ოჯახური ძალადობის, განქორწინების, ალკოჰოლიზმის, ნარკოდამოკიდებულებისა და პროსტიტუციის მაჩვენებლით** - 2023 წლის მონაცემებით, ყოველ ასი ათას ადამიანზე თვითმკვლელობის მაჩვენებლით რუსეთი მსოფლიოს 200-მდე სახელმწიფოს შორის მე-9 ადგილზეა (25.1 შემთხვევა).[28] რუსეთი მსოფლიოში „მოწინავეა“ ალკოჰოლიზმით დაავადებული ადამიანების რაოდენობით. 2023 წლის მონაცემებით, რუსეთი ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს უნგრეთის შემდეგ. რუსეთის მოსახლეობის 20.9%-ს ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემა აქვს. ათეულში დასავლური სახელმწიფოებიც შედიან, თუმცა, მათი მაჩვენებელი (საშუალოდ 13%) მნიშვნელოვნად ჩამორჩება რუსეთის სტატისტიკურ მაჩვენებელს.[29] ალკოჰოლიზმის გარდა, რუსეთის მოსახლეობაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ნარკოდამოკიდებულება. მსოფლიოს 200-მდე სახელმწიფოს შორის ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებლით რუსეთი მე-8 ადგილზეა.[30]

რუსეთში არაპროპორციულად მაღალია განქორწინებათა რაოდენობა. ყოველ 1000 ადამიანზე განქორწინების რაოდენობით რუსეთის ფედერაცია მსოფლიოში მესამე ადგილზეა (3.9 შემთხვევა) და მხოლოდ მალდივებს (5.52) და ყაზახეთს (4.6) ჩამორჩება. დასავლური სახელმწიფოებიდან ათეულში მხოლოდ ბელგია (3.7), უკრაინა (2.88) და დანია (2.7) შედიან.[31] რუსეთში ხშირია ქალებზე ოჯახური ძალადობის შემთხვევებიც. ამ მაჩვენებლით მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის რუსეთი 22-ე ადგილს იკავებს (ყოველ 100 000 ადამიანზე 4.06 შემთხვევა. დასავლეთის სახელმწიფოებიდან მასზე წინ მხოლოდ ლატვიაა (4.13 შემთხვევა, 21-ე ადგილზე), დანარჩენი დასავლური სახელმწიფოები

28. World Population Review. 2023. “Suicide Rate by Country 2020.” Worldpopulationreview.com. 2023. https://worldpopulationreview.com/country-rankings/suicide-rate-by-country.

29. World Population Review. 2021. “Alcoholism by Country 2020.” Worldpopulationreview.com. 2021. https://worldpopulationreview.com/country-rankings/alcoholism-by-country.

30. “Drug Use by Country 2022.” 2023. Worldpopulationreview.com. 2023. https://worldpopulationreview.com/country-rankings/drug-use-by-country.

31. “Divorce Rates by Country 2020.” 2023. Worldpopulationreview.com. 2023. https://worldpopulationreview.com/country-rankings/divorce-rates-by-country.

პირველ 50-ეულში ნაკლებად გვხვდება. [32] რუსეთი მსოფლიოში მეორე ადგილზეა ყოველ 10 000 ადამიანზე სექსმუშაკების რაოდენობით (208) და მხოლოდ სიერა-ლეონეს (325) ჩამორჩება.[33]

***დასკვნა: კრემლის მიერ გავრცელებული ნარატივი, თითქოს დასავლეთი ეკლესიას და ეროვნულ იდენტობას ებრძვის, თვითონ კი ტრადიციული, ოჯახური ღირებულებების დამცველია, დეზინფორმაციაა. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აბსოლუტურად საპირისპიროზე მეტყველებს.***

32. “Countries Ranked by Intentional Homicides, Female (per 100,000 Female).” n.d. Www.indexmundi.com. https://www.indexmundi.com/facts/indicators/VC.IHR.PSRC.FE.P5/rankings.

33. “Wikiwand - Prostitution Statistics by Country.” n.d. Wikiwand. https://www.wikiwand.com/en/Prostitution_statistics_by_country.

# რუსული ტყუილი N 3

## „დასავლეთი რუსეთს დაჰპირდა, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა“

**მითის ანატომია:** უკვე წლებია, რუსეთის პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ დასავლეთი წარსულში რუსეთს აღმოსავლეთით ნატოს გაფართოების შეჩერებას დაჰპირდა. *„ჩვენ გვაქვს უფლება, ვიკითხოთ - ვის წინააღმდეგაა მიმართული ნატოს გაფართოება? რა დაემართა დასავლელი პარტნიორების მიერ გაცემულ დაპირებას ვარშავის პაქტის დაშლის შემდეგ? მინდა მოვიშველიო ნატოს გენერალური მდივნის -, ბატონი ვერნერის სიტყვები, წარმოთქმული 1990 წლის 17 მაისს - <<ფაქტი, რომ ჩვენ მზად ვართ, ნატოს ძალები გერმანიის საზღვრებს გარეთ არ განვათავსოთ, საბჭოთა კავშირს უსაფრთხოების მყარ გარანტიებს აძლევს>>“*[34] - ეს სიტყვები რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 2007 წელს მიუნხენში წარმოთქვა. პუტინი შემდგომში მეზობელ სახელმწიფოებზე განხორციელებულ აგრესიაზე პასუხისმგებლობას დასავლეთს აკისრებდა, რომელიც, მისი თქმით, ნატოს გაფართოებით რუსეთს „სასიცოცხლო ინტერესის“ ზონას ართმევდა, მის ეროვნულ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებდა და რუსეთს „დასავლეთის რკალში“ აქცევდა, ამიტომ მეზობელ სახელმწიფოებზე თავდასხმები რუსეთის მხრიდან აგრესიას კი არა, თავდაცვით აქტს წარმოადგენდა. ამ ნარატივით “ამართლებდა” პუტინი საქართველოსა (2008) და უკრაინის მიმართ (2014, 2022) განხორციელებულ აგრესიას.[35] [36]

34. Www.washingtonpost.com. 2007. “Putin’s Prepared Remarks at 43rd Munich Conference on Security Policy,” February 12, 2007. https://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2007/02/12/AR2007021200555.html.
35. Putin, Vladimir. 2014. “Address by President of the Russian Federation.” President of Russia. March 18, 2014. http://en.kremlin.ru/events/president/news/20603.
36. “Russia’s Putin Says Western Leaders Broke Promises, but Did They?” n.d. VOA. https://www.voanews.com/a/russia-putin-western-leaders-nato-expansion/6392427.html.

**რეალობა:**

**1. დასავლეთი რუსეთს ნატოს არგაფართოებას არასდროს დაჰპირებია. არასდროს გაფორმებულა რუსეთსა და ნატოს შორის ფორმალური შეთანხმება, რომლითაც ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა აღმოსავლეთით, რუსეთის საზღვართან, არგაფართოების ვალდებულება აიღო** - პუტინის მიერ არაერთხელ გაჟღერებული „დაპირება“ ნატოს აღმოსავლეთით არგაფართოების შესახებ გერმანიის გაერთიანების საკითხს ეხება. 1989 წლის 9 ნოემბერს, ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ, საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მოლაპარაკებები დაიწყო გერმანიის გაერთიანების თაობაზე. განიხილებოდა გაერთიანებული გერმანიის ნატოში შესვლა, თუმცა საბჭოთა კავშირს უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით დამატებით გარანტიებზე საუბარი სურდა. 1990 წლის 31 იანვარს გერმანიის კანცლერმა, ჰანს დიტრიხ გენშერმა, განაცხადა, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა, თუმცა გენშერის განცხადებაში საუბარი იყო ნატოს სამხედრო ძალების აღმოსავლეთ გერმანიაში განლაგებაზე და არა ნატოში ახალი წევრების მიღებაზე.[37] ნატოს გაფართოებაზე საუბრისას ამერიკის გენერალურმა მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა 1990 წლის 9 თებერვალს განაცხადა, რომ ნატოს იურისდიქცია აღმოსავლეთით ერთი ინჩითაც აღარ გადაიწევდა, თუმცა შემდეგ ბეიკერმა უკან წაიღო ეს განცხადება, რადგან, მისი თქმით, სიტყვა იურისდიქცია აჩენდა განცდას, თითქოს ნატო საკუთარ ძალებს აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე არ განალაგებდა, რაც გერმანიის სუვერენიტეტს შეზღუდავდა. ამიტომ ბეიკერმა ეს განცხადება მალევე უარყო. შესაბამისად, მოლაპარაკებების საგანი იყო ნატოს კონტინგენტის განთავსება/არგანთავსება აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე და არა ალიანსში ახალი წევრების მიღების შესაძლებლობა.[38] ნატოს აღმოსავლეთით არგაფართოების თაობაზე არც დასავლეთს მიუცია გორბაჩოვისთვის პირობა და არც საბჭოთა კავშირს გამოუტანია ეს საკითხი მოლაპარაკების მაგიდაზე. გერმანიის საკითხზე მოლაპარაკებები 1990 წლის 12 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებით დასრულდა, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე იქამდე არ განთავსდებოდა ნატოს სამხედრო

37. Baker, Peter. 2022. “In Ukraine Conflict, Putin Relies on a Promise That Ultimately Wasn’t.” The New York Times, January 9, 2022, sec. U.S. https://www.nytimes.com/2022/01/09/us/politics/russia-ukraine-james-baker.html.

38. მითების დეტექტორი. 2023. „ლევან ვასაძის 3 მანიპულაცია ნატოს გაფართოებაზე,.“ Mythdetector.ge. March 1, 2023. https://mythdetector.ge/ka/levan-vasadzis-3-manipulatsia-natos-gapharthoebaze-chechnethsa-da-ruseth-saqarthvelos-molaparakebebze/.

კონტინგენტი, სანამ საბჭოთა არმია ქვეყანას სრულად არ დატოვებდა. გარდა ამისა, ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე არ უნდა განთავსებულიყო ბირთვული იარაღი.

1990 წლის შეთანხმების მსგავსად, ნატოს შემდგომი გაფართოება არ იყო ნახსენები 1997 წელს ნატოსა და რუსეთს შორის გაფორმებულ ორმხრივი თანამშრომლობის აქტშიც. ეს დოკუმენტი იყო ერთგვარი ჩარჩო-შეთანხმება ნატოსა და რუსეთს შორის სამომავლო პარტნიორობის საკითხში. საგულისხმოა, რომ შეთანხმება არ მოიცავდა შეზღუდვებს ნატოში ახალი წევრების მიღების თაობაზე.

**2. ბეიკერისა და სხვა დასავლელი ლიდერების ე.წ. დაპირებას ნატოს აღმოსავლეთით არგაფართოების შესახებ თვითონ გორბაჩოვი უარყოფს** - საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივანს, მიხეილ გორბაჩოვს, არაერთ ინტერვიუში განუცხადებია, რომ 1990 წლის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა გერმანიის გაერთიანების საკითხის ირგვლივ და მასზე არ განიხილებოდა ნატოს გაფართოება/არგაფართოების საკითხი. *„ნატოს გაფართოება საერთოდ არ იყო განხილვის საგანი. განიხილებოდა მხოლოდ ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე ნატოს შეიარაღებისა და სამხედრო კონტინგენტის განთავსების საკითხი. ჩვენ გვსურდა დავრწმუნებულიყავით, რომ გდრ-ის ტერიტორიაზე არ მოხდებოდა ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსება. ბეიკერის განცხადებებიც სწორედ ამ კონტექსტში უნდა აღვიქვათ. ყველაფერი გაკეთდა ამ პირობის შესასრულებლად. საბოლოო შეთანხმებით გერმანიამ აიღო ვალდებულება, რომ აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ახალი სამხედრო სტრუქტურები არ შეიქმნებოდა, დამატებითი ჯარები და მასობრივი განადგურების იარაღი არ განთავსდებოდა.*[39] შესაბამისად, ფაქტი, რომ დასავლეთს რუსეთის მისამართით ნატოს არგაფართოების თაობაზე დაპირება არასდროს გაუცია, თვითონ საბჭოთა კავშირის გენერალურმა მდივანმა, მიხეილ გორბაჩოვმა, არაერთხელ დაადასტურა. მსგავს რამეს არც თავის მემუარულ წიგნებსა და არც რომელიმე ინტერვიუში ადასტურებს სსრკ-ს მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე.

**3. პუტინის განცხადება იმის შესახებ, რომ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში კონფლიქტის ინიციატორი დასავლეთია, სიმართლეს არ შეესაბამება. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებზე განხორციელებული აგრესიის ინიციატორი ყოველთვის რუსეთის ფედერაცია იყო** - ნატო თავდაცვითი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია, რომელიც კონფლიქტის ინიციატორი არცერთ შემთხვევაში ყოფილა. ნატოს არსებობის 74 წლიან ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა 2001 წელს მოხდა, როდესაც

39. "Did NATO Promise Not to Enlarge? Gorbachev Says 'No.'" n.d. Brookings. https://www.brookings.edu/articles/did-nato-promise-not-to-enlarge-gorbachev-says-no/.

ალიანსი სრულმასშტაბიან ომში ჩაერთო, რადგან ალიანსის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოს თავს დაესხნენ (11 სექტემბრის ტერაქტი).[40] რაც შეეხება რუსეთის მიერ განხორციელებულ თავდასხმებს მეზობელ სახელმწიფოებზე, რუსული აგრესიის მსხვერპლი 3 პოსტსაბჭოთა სახელმწიფო გახდა: 1. ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი (1991-1992), აფხაზეთის ომი (1992-1993) და 2008 წლის აგვისტოს ომი, როდესაც რუსეთის არმია საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა და სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ თავდასხმითი ომი აწარმოა; 2. 2014 წლის მარტში რუსეთის ფედერაციამ მეზობელი უკრაინის ტერიტორიის (ყირიმის ნახევარკუნძული) ანექსირება მოახდინა და აღმოსავლეთ უკრაინაში (დონბასის რეგიონი) ადგილობრივი სეპარატისტების გამოყენებით უკრაინის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები დაიწყო. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია დაიწყო, რომლის მიზანს უკრაინის სრულად ანექსირება წარმოადგენდა; 3. მოლდოვა, რომელშიც რუსეთის ხელშეწყობით დნესტრისპირეთმა 1992 წელს დე-ფაქტო დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რამაც მოლდოვას ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია. სამივე შემთხვევაში კონფლიქტის ინიციატორი რუსეთის ფედერაცია იყო. ნატოსგან განსხვავებით, რომელსაც ისტორიის განმავლობაში არასდროს დაუწყია ომი, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში მიმდინარე კონფლიქტების ინიციატორად ყოველთვის რუსეთი გამოდიოდა. შესაბამისად, პუტინის განცხადებები იმის თაობაზე, რომ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში მიმდინარე კონფლიქტების წყარო ნატო და კოლექტიური დასავლეთია, სიმართლეს არ შეესაბამება.

***დასკვნა: რუსული პროპაგანდისტული ნარატივი იმის შესახებ, რომ ნატო რუსეთს აღმოსავლეთით არგაფართოებას დაჰპირდა, ტყუილს ეფუძნება, რადგან დასავლეთსა და რუსეთს შორის ნატოს გაფართოება/არგაფართოების საკითხზე არასდროს გაფორმებულა მსგავსი შეთანხმება.***

40. NATO. 2022. "NATO-Russia: Setting the Record Straight." NATO. September 21, 2022. https://www.nato.int/cps/en/natohq/115204.htm.

# რუსული ტყუილი N 4

## „ნატო რუსეთს საფრთხეს უქმნის“

**მითის ანატომია:** პუტინმა ნატოს წინააღმდეგ დეზინფორმაციების გავრცელება 2007 წლიდან აქტიურად დაიწყო. პუტინის მიერ გაჟღერებული ერთ-ერთი მთავარი ტყუილის მიხედვით, ნატო რუსეთს ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნის, „სასიცოცხლო სივრცეს“ უზღუდავს და „რკალში აქცევს“. 2007 წელს პუტინმა განაცხადა: *„მე ვფიქრობ აშკარაა, რომ ნატოს გაფართოებას ალიანსის მოდერნიზაციასთან და ევროპის უსაფრთხოების დაცვასთან საერთო არაფერი აქვს. პირიქით, ის სერიოზულ პროვოკაციას წარმოადგენს, რომელიც საერთო ინტერესებს ძირს უთხრის. ჩვენ გვაქვს უფლება, ვიკითხოთ - ვის წინააღმდეგაა მიმართული ნატოს გაფართოება?“*[41]

კითხვაზე - როგორი დამოკიდებულება ექნება ნატოში საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანებაზე, Fox News-თან ინტერვიუში პუტინმა შემდეგნაირად უპასუხა: *„ჩვენთვის ეს არის პირდაპირი და მყისიერი საფრთხე ჩვენი ნაციონალური უსაფრთხოებისთვის. ჩვენს საზღვრებთან NATO-ს ინფრასტრუქტურის მოახლოება არის საფრთხე და ამაზე რეაქცია უკიდურესად ნეგატიური იქნება. NATO-ს ინფრასტრუქტურისა და სამხედრო კონტინგენტის გაფართოებას აღმოსავლეთით რუსეთი ეროვნულ საფრთხედ აღიქვამს“.*[42] [43]

**რეალობა:**

**1. ნატო თავდაცვითი ალიანსია, რომელიც ომის ინიციატორი არასდროს ყოფილა. ნატოს არ დაუწყია ომი საქართველოსა და უკრაინაში. ეს რუსეთის ფედერაციამ გააკეთა** - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია 1949 წლის 4 აპრილს დაარსდა

41. “A Speech Delivered at the MSC 2007 by the President Vladimir Putin.” n.d. https://is.muni.cz/th/xlghl/DP_Fillinger_Speeches.pdf.
42. “Chris Wallace Interviews Russian President Vladimir Putin.” n.d. Www.youtube.com. https://www.youtube.com/watch?v=rHY8yG4mVzs&t=929s.
43. “ნატოს გაფართოება საფრთხეს უქმნის რუსეთს - პუტინი.” n.d. Ghn.ge. https://ghn.ge/news/236397-natos-gafartoeba-safrtkhes-ukmnis-rusets-putini.

და ცივი ომის პერიოდში მისი მთავარი მიზანი საბჭოთა კავშირის შეკავება იყო. ნატო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაარსებული ორგანიზაციაა, რომლის მიზანია ერთიანი ძალებით წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. ნატოს მთავარი პრინციპი კოლექტიური უსაფრთხოებაა, რომელსაც მეხუთე მუხლი არეგულირებს.[44] ნატოს არსებობის 74-წლიან ისტორიაში მეხუთე მუხლი ერთადერთხელ ამოქმედდა - 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, როდესაც საფრთხე ალიანსის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, შეექმნა. რაც შეეხება სამხედრო კამპანიას იუგოსლავიაში, ნატო კონფლიქტში მას შემდეგ ჩაერთო, რაც იუგოსლავიის ტერიტორიაზე დაწყებულ ომებს ათობით ათასი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა. ნატოსგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის თავდაცვითი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს, მეზობელ სახელმწიფოებზე განხორციელებული აგრესიის ინიციატორი ყოველთვის რუსეთის ფედერაცია იყო. სწორედ რუსეთი შეიჭრა 2008 წელს საქართველოში და 2014 წლის მარტში უკრაინის სუვერენული ტერიტორიის, ყირიმის ნახევარკუნძულის, ანექსირება მოახდინა. სწორედ რუსეთი იყო ის სახელმწიფო, რომელმაც რუსი სეპარატისტების გამოყენებით დონბასის რეგიონში უკრაინის წინააღმდეგ ომი წამოიწყო. რუსეთმა დაიწყო 2022 წლის თებერვალში სრულმასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ.[45] ამ ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით, ნატო დაარსების დღიდან თავდაცვითი ალიანსია და არასდროს უწარმოებია თავდასხმითი ომი, კრემლისგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის პოსტსაბჭოთა კონფლიქტების მთავარი ინიციატორი იყო.

**2. ნატო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აქტიურად ცდილობდა რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. 2014 წლამდე ნატო და რუსეთი რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ. ეს თანამშრომლობა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ დაასრულა** - საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთში არსებობდა კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ საჭირო იყო სსრკ-ის სამართალმემკვიდრის, რუსეთის ფედერაციის, ევროპული და გლობალური უსაფრთხოების სისტემაში გარკვეული სახით ინტეგრაცია. ამ მიზნის მისაღწევად ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო. 1994 წლის

44. NATO. 2021. "Collective Defence - Article 5." NATO. November 23, 2021. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm.

45. Editors, History com. n.d. "5-Day Long Russo-Georgian War Begins." HISTORY. https://www.history.com/this-day-in-history/5-day-long-russo-georgian-war-begins.

22 ივნისს რუსეთი ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამას შეუერთდა. ნატო-რუსეთის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი წინსვლა იყო 1997 წლის 27 მაისს გაფორმებული „ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი“, რომელიც ალიანსსა და რუსეთის ფედერაციას შორის შემდგომი ურთიერთობების ჩარჩოს განსაზღვრავდა. ამავე აქტის მეშვეობით დაფუძნდა „ნატო-რუსეთის მუდმივი საერთო საბჭო“ (NRPJC), რასაც 2002 წლის ნატოს რომის სამიტზე „ნატო-რუსეთის საბჭოს“ (NRC) ჩამოყალიბება მოჰყვა. ეს ორგანო გახდა ალიანსსა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობების განმსაზღვრელი ძირითადი პლატფორმა. „ნატო-რუსეთის საბჭოს“ პლატფორმის გამოყენებით, მომავალი ათწლეულის განმავლობაში მხარეები ერთმანეთთან ისეთ საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობდნენ, როგორებიცაა: ტერორიზმსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, შეიარაღების კონტროლი, სარაკეტო თავდაცვა, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა და ა.შ.[46] ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და რუსეთს შორის ურთიერთობები მას შემდეგ დაიძაბა, რაც 2008 წლის აგვისტოში კრემლმა საქართველოს წინააღმდეგ ომი დაიწყო, თუმცა, ნატოს რუსეთთან ბოლომდე თანამშრომლობა მაინც არ შეუწყვეტია. ალიანსმა რუსეთთან არსებული თანამშრომლობის თითქმის ყველა ფორმატი მხოლოდ მას შემდეგ გააუქმა, რაც 2014 წლის მარტში რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსირება მოახდინა.[47] 2014 წლამდე ნატო ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებში დაახლოებით 5000-იანი სამხედრო კონტინგენტით იყო წარმოდგენილი. ამ რაოდენობის სამხედრო კონტინგენტი არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა რუსეთისთვის, რომლის შეიარაღებული ძალები 2022 წლამდე მილიონზე მეტ სამხედროს ითვლიდა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნატო ყოველთვის ცდილობდა რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც ყოველთვის რუსეთის მხრიდან ნატოს კეთილგანწყობის ბოროტად გამოყენებითა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი კონფლიქტების ინიცირებით სრულდებოდა.

**3. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეცესიაში ჩავარდნილი ეკონომიკის ასამუშავებლად დასავლეთი რუსეთის ფედერაციას 1991-2000 წლებში დაახლოებით 60 მილიარდი დოლარით დაეხმარა** - სსრკ-ის დაშლის შემდეგ მისი სამართალმემკვიდრე, რუსეთის ფედერაცია, მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. უკიდურესად ღარიბ რუსეთს მშველელად ისევ დასავლეთი მოევლინა. სხვადასხვა დასავ-

46. “NATO-Russia Relations: The Background.” n.d. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2020/4/pdf/2003-NATO-Russia_en.pdf.

47. “NATO-Russia Relations: The Background.” n.d. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2020/4/pdf/2003-NATO-Russia_en.pdf.

ლური სახელმწიფო, ისევე როგორც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, რუსეთს მილიარდობით დოლარის ღირებულების გრანტებითა და სესხებით დაეხმარნენ, რამაც რუსეთის ეკონომიკა მნიშვნელოვნად გააჯანსაღა. ამერიკის შეერთებული შტატები 1992-1999 წლებში რუსეთს დაახლოებით 7 მილიარდი ამერიკული დოლარით დაეხმარა.[48] 1991-1998 წლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) რუსეთში 5.5 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტები განახორციელა.[49] მსოფლიო ბანკმა 1992-2001 წლებში რუსეთს 12.1 მილიარდი დოლარი ასესხა, საიდანაც 3.1. მილიარდი საინვესტიციო პროექტებზე დაიხარჯა.[50] ყველაზე დიდი დახმარება რუსეთის ფედერაციას საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) გაუწია, რომელმაც 1992-1999 წლებში რუსეთზე 37 მილიარდი დოლარის ღირებულების გრანტები და სესხები გასცა.[51] სწორედ დასავლური სახელმწიფოებისა და ფინანსური ინსტიტუტების დახმარება გახდა რუსეთის ეკონომიკის დასტაბილურების საფუძველი. 2000-იან წლებში ნავთობზე მაღალი ფასების გამო რუსეთი მნიშვნელოვნად გამდიდრდა, თუმცა, მანამდე ამ სახელმწიფოს არსებობა მთლიანად დასავლურ გრანტებსა და სესხებზე იყო დამოკიდებული. შესაბამისად, საუბარი იმაზე, რომ დასავლეთი და ნატო რუსეთისთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს ტყუილია. ისტორია საპირისპიროზე მეტყველებს - თუ დასავლეთს რუსეთის განადგურება სურდა, რატომ არ მიატოვა გასაჭირში მყოფი რუსეთი დასავლეთმა 1990-იან წლებში და რატომ დაეხმარა მას ეკონომიკური კრიზისების აღმოფხვრაში?

***დასკვნა: ნატო რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, პირიქით - რუსეთის აგრესიული მოქმედებები საფრთხეს უქმნის ნატოს. ნატო თავდაცვითი ორგანიზაციაა, რომელსაც რუსეთისგან განსხვავებით თავდასხმითი ომები არასდროს უწარმოებია. დასავლეთი მუდამ ცდილობდა რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავებას და კრემლს მისთვის ყველაზე მძიმე პერიოდში მნიშვნელოვანი ეკონომიკური დახმარება გაუწია.***

48. “NATO-Russia Relations: The Background.” 169
49. “NATO-Russia Relations: The Background.” 153
50. “NATO-Russia Relations: The Background.” 137
51. “NATO-Russia Relations: The Background.” 113

# რუსული ტყუილი N 5

## „რუსეთი სამოქალაქო ინფრასტრუქტურას არ ბომბავს და მშვიდობიან მოსახლეობას არ ხოცავს“

**მითის ანატომია:** რუსეთის ფედერაცია წლების განმავლობაში აქტიურად ავრცელებდა ნარატივს, თითქოს კონფლიქტებში, რომლებშიც რუსეთი პირდაპირ თუ ირიბად იყო ჩართული, კრემლი მხოლოდ სამხედრო ობიექტებს ბომბავდა და დაბომბვები სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ არ იყო მიმართული. მსგავს გზავნილს აჟღერებდნენ რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი, და მისი უახლოესი გარემოცვის წევრები რუსეთის მიერ წარმოებული თითოეული ომისას. *„რუსეთის ავიასივრცის ძალები სირიაში სამიზნეებს სამოქალაქო დასახლებებს გარეთ ანადგურებენ. დაბომბვები მიმართულია ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა სირიული ობსერვატორიის მოხსენებები, რომლებიც დაფუძნებულია ბრიტანული დაზვერვის მონაცემებზე, ტყუილს წარმოადგენს“*[52] - ეს გახლდათ კრემლის ოფიციალური პოზიცია ადამიანის უფლებათა სირიული ობსერვატორიის მოხსენებაზე, რომლის მიხედვითაც რუსეთის ავიაცია სირიაში სამოქალაქო დასახლებებსა და ინფრასტრუქტურას ბომბავდა. იმავეს იმეორებდა კრემლი უკრაინაში სრულმასშტაბიანი ინტერვენციის შემდეგ. *„არავინ აპირებს უკრაინის მშვიდობიან მოსახლეობაზე იერიშის მიტანას. რუსეთი არ ბომბავს სამოქალაქო მოსახლეობას“*[53] - განაცხადა CNN-თან ინტერვიუში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა. იმავეს იმეორებდა

52. BBC News. 2017. “Syria War: Russia Denies Bombing Civilians in Deir Al-Zour Village,” November 27, 2017, sec. Middle East. https://www.bbc.com/news/world-middle-east-42142579.

53. Polglase, Gianluca Mezzofiore,Katie. 2022. “Russia Says It’s Not Hitting Ukraine’s Civilian Infrastructure. Evidence Suggests Otherwise.” CNN. February 26, 2022. https://edition.cnn.com/2022/02/25/europe/ukraine-russia-videos-civilians-intl-cmd/index.html.

ვლადიმერ პუტინიც.[54] თუმცა, გასული ორი ათწლეულის ისტორია და ფაქტები სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს. რუსეთი სამოქალაქო ინფრასტრუქტურას ბომბავდა და მშვიდობიან მოსახლეობას ანადგურებდა ყველა იმ კონფლიქტში, რომელშიც პირდაპირ თუ ირიბად იყო ჩართული.

**რეალობა:**

**1. რუსული ავიაცია 2008 წლის აგვისტოს ომისას ბომბავდა სამოქალაქო შენობებს, რასაც საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა**[55] - რუსულმა ავიაციამ არასამხედრო ტიპის ობიექტების დაბომბვა 7 აგვისტოდან დაიწყო. 7 აგვისტოს რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა სოფელ შავშვების ახლოს, საქართველოს სამხედრო რადარიდან 500 მეტრის მოშორებით, რამდენიმე ბომბი ჩამოაგდო. იმავე 7 აგვისტოს რუსულმა ავიაციამ დაბომბა სოფლები ნული, ქურთა, თამარაშენი, ზემო ფრისი და შავშვები.[56] 8 აგვისტოს რუსული ავიაციის მიერ დაიბომბა ფოთსა და თბილისს შორის გამავალი მაგისტრალი. დაიბომბა გორი, ქარელის სოფლები. 8 აგვისტოს 21:00-თვის ოჩამჩირეში განთავსებული რუსეთის 58-ე არმიის კუთვნილი ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსიდან - „ტოჩკა-უ“ გაისროლეს 2 რაკეტა, რომლებიც ქალაქ ფოთის ცენტრში დაეშვა.[57] 9 აგვისტოს რუსული ავიაციის მიერ, სამხედრო ობიექტების გარდა, დაიბომბა ფოთის პორტი და ქალაქი გორი.[58] 10 აგვისტოს რუსეთის ავიაციამ დაბომბა ბაქო-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობსადენი, კოდორის ხეობა და ქალაქი ანაკლია.[59] 11 აგვისტოს რუსულმა ავიაციამ ისევ დაბომბა ქალაქი

54. Welle (www.dw.com), Deutsche. n.d. “Fact Check: Putin’s Lies about the Bombing of Ukraine | DW | 10.07.2022.” DW.COM. https://www.dw.com/en/fact-check-putins-lies-about-the-bombing-of-ukraine/a-62419749.

55. არაბული, ნასტასია. 2023. Review of 2008 წლის ომი და ომის შედეგები რიცხვებში. რადიო თავისუფლება, August 7, 2023. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98/32537884.html.

56. Hizan. n.d. “აგვისტოს ომი 2008.” Augustwar.radiotavisupleba.ge. Accessed September 29, 2023. https://augustwar.radiotavisupleba.ge/#day-7.

57. Hizan. n.d. “აგვისტოს ომი 2008.” Augustwar.radiotavisupleba.ge. Accessed September 29, 2023. https://augustwar.radiotavisupleba.ge/#day-8.

58. Hizan. n.d. “აგვისტოს ომი 2008.” Augustwar.radiotavisupleba.ge. Accessed September 29, 2023. https://augustwar.radiotavisupleba.ge/#day-9.

59. Hizan. n.d. “აგვისტოს ომი 2008.” Augustwar.radiotavisupleba.ge. Accessed September 29, 2023. https://augustwar.radiotavisupleba.ge/#day-10.

გორი და გაანადგურა ათობით სამოქალაქო შენობა.[60] 12 აგვისტოს „ისკანდერ მ/სს 26“ ტიპის სარაკეტო კომპლექსით დაიბომბა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და ქალაქი გორი. Human Rights Watch-ის ცნობით, რუსებმა RBK 250 ტიპის კასეტური ბომბები ჩამოაგდეს ქალაქი გორის ცენტრალურ მოედანსა და სტადიონზე, რასაც 8 სამოქალაქო პირის სიცოცხლე ემსხვერპლა, 15 კი მძიმედ დაიჭრა. გარდა ამისა, 12 აგვისტოს რუსულმა ვერტმფრენმა ავტომაგისტრალზე ცეცხლი გაუხსნა მოძრავ სამგზავრო მიკროავტობუსს, რასაც 9 სამოქალაქო პირის სიკვდილი მოჰყვა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ომის მიმდინარეობისას დაფიქსირდა ქურდობის 1040, ძარცვის 89, ყაჩაღობის 132, გაუპატიურების 13, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის 7 და ნივთის დაზიანების 164 შემთხვევა.[61]

**2. რუსული ავიაცია სირიული კამპანიის მიმდინარეობისას ბომბავ-და სამოქალაქო ინფრასტრუქტურას, ანადგურებდა მშვიდობიან მოსახლეობასა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს** - სირიის სამოქალაქო ომში რუსეთის ფედერაციის ჩართვიდან 5 თვის თავზე ადამიანის უფლებათა სირიულმა ობსერვატორიამ კრემლის მხრიდან სამოქალაქო შენობების (საავადმყოფოები, სკოლები, საბავშვო ბაღები, ბაზრობები და საცხოვრებელი სახლები) დაბომბვების შედეგად 1700 გარდაცვლილი სამოქალაქო პირი აღრიცხა.[62] Amnesty International-ის მოხსენების მიხედვით, 2015 წლის სექტემბერ-ნოემბრის პერიოდში რუსულმა ავიაციამ 25-ჯერ დაბომბა სამოქალაქო შენობები სირიაში, რის შედეგადაც 250 სამოქალაქო და 12 სამხედრო გარდაიცვალა. ამ თავდასხმებისას დაინგრა საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები და სკოლები.[63] Human Rights Watch-ის მონაცემებით, 2016 წლის იანვრიდან თებერვლის ჩათვლით რუსეთმა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ კასეტური ბომბები 14-ჯერ გამოიყენა, რასაც 37 მოქალაქე ემსხვერპლა, ათეულობით კი - დაიჭრა.[64] რუსული ავიაცია განსაკუთრებული სისას-

60. Hizan. n.d. “აგვისტოს ომი 2008.” Augustwar.radiotavisupleba.ge. Accessed September 29, 2023. https://augustwar.radiotavisupleba.ge/#day-11.

61. Hizan. n.d. “აგვისტოს ომი 2008.” Augustwar.radiotavisupleba.ge. Accessed September 29, 2023. https://augustwar.radiotavisupleba.ge/#day-12.

62. Graham-Harrison, Emma. 2016. “Russian Airstrikes in Syria Killed 2,000 Civilians in Six Months.” The Guardian, March 15, 2016, sec. World news. https://www.theguardian.com/world/2016/mar/15/russian-airstrikes-in-syria-killed-2000-civilians-in-six-months.

63. “Russia’s Bombing in Syria Has Killed Hundreds of Civilians - New Report.” n.d. Www.amnesty.org.uk. https://www.amnesty.org.uk/press-releases/russias-bombing-syria-has-killed-hundreds-civilians-new-report.

64. “Russia/Syria: Daily Cluster Munition Attacks.” 2016. Human Rights Watch. February 8, 2016. https://www.hrw.org/news/2016/02/08/russia/syria-daily-cluster-munition-attacks.

ტიკით 2016 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში ბომბავდა სირიის ქალაქ ალეპოს. რუსული ავიაციის დაბომბვებს ალეპოში 446 სამოქალაქო პირის სიცოცხლე შეეწირა. განადგურდა საავადმყოფოები, სკოლები, საბავშვო ბაღები, სამოქალაქო შენობები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომელთა უმეტესობა რამდენიმე ათასი წლის იყო.[65] 2020 წლის მაისში Amnesty International-მა გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც სირიის სამოქალაქო ომში რუსეთმა *„არაერთხელ დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ჩაიდინა ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები“*. [66]

**3. რუსულმა ავიაციამ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ინტერვენციის დღიდან უკრაინის თითქმის ყველა ქალაქში დაბომბა სამოქალაქო ინფრასტრუქტურა, რასაც ათასობით სამოქალაქო პირი ემსხვერპლა** - 2023 წლის იანვრისთვის, Human Rights Watch-ის მონაცემებით, უკრაინაში რუსეთის აგრესიამ 6 919 სამოქალაქო პირის სიცოცხლე შეიწირა, 11 000-ზე მეტი კი - დაიჭრა. ეს რიცხვები მოიცავს დადასტურებული შემთხვევების რაოდენობას, სავარაუდოა, რომ სამოქალაქო მსხვერპლის რეალური რაოდენობა გაცილებით მეტია. რუსეთის ფედერაციის აგრესიამ და რუსული ავიაციის დაბომბვებმა დაახლოებით 14 მილიონი უკრაინელი აიძულა, საცხოვრებელი დაეტოვებინა - აქედან 6.5 მილიონმა ადამიანმა საცხოვრებელი ქვეყნის შიგნით შეიცვალა, თითქმის 8 მილიონმა ადამიანმა კი ქვეყანა დატოვა.[67] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ცნობით, 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ რუსეთმა 700-ზე მეტი შეტევა განახორციელა უკრაინულ საავადმყოფოებზე. 2022 წლის 29 ნოემბრის მონაცემებით, 144 საავადმყოფო მთლიანად განადგურდა, 1033 კი - ნაწილობრივ დაზიანდა.[68] 2022 წლის განმავლობაში რუსეთმა გაანადგურა დაახლოებით 300 სკოლა. რუსეთი ომში დღემდე აქტიურად იყენებს კასეტურ ბომბებს. რუსეთის მხრიდან კასეტური ბომბების გამოყენების შემთხვევები აღრიცხულია უკრაინის 24-დან 10 რეგიონში, რასაც მხოლოდ 2022 წლის თებერვალ-ივლისის პერიოდში 689 სამოქალაქო პირი ემსხვერპლა. რუსული თავდასხმების შედეგად

65. “Russia/Syria: War Crimes in Month of Bombing Aleppo.” 2016. Human Rights Watch. December 5, 2016. https://www.hrw.org/news/2016/12/01/russia/syria-war-crimes-month-bombing-aleppo.

66. “‘NOWHERE IS SAFE for US’ UNLAWFUL ATTACKS and MASS DISPLACEMENT in NORTH-WEST SYRIA.” n.d. https://www.amnesty.org/download/Documents/MDE2420892020ENGLISH.PDF.

67. Human Rights Watch. 2023. “Ukraine: Events of 2022.” Human Rights Watch. January 12, 2023. https://www.hrw.org/world-report/2023/country-chapters/ukraine.

68. “Home.” n.d. Extranet.who.int. https://extranet.who.int/ssa/LeftMenu/Index.aspx?utm_source=Stopping%20attacks%20on%20health%20care%20QandA&utm_medium=link&utm_campaign=Link_who.

განადგურდა ენერგოინფრასტრუქტურა. რუსული დაბომბვების შედეგად უკრაინის მრავალ რეგიონში მოსახლეობას თვეების განმავლობაში არ მიეწოდებოდა დენი, გაზი და წყალი. რუსული არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე 2022 წელს Human Rights Watch-მა 441 ადამიანის მკვლელობა და სექსუალური ძალადობის 86 შემთხვევა აღრიცხა. რუსულ აგრესიას უკრაინაში ომის დაწყების დღიდან, სულ მცირე, 500 ბავშვის სიცოცხლე შეეწირა.[69] რუსეთის მხრიდან უკრაინაში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ყველაზე აშკარა მაგალითი ბუჩის ხოცვა-ჟლეტაა. 2022 წლის აპრილში ქალაქში შესულმა უკრაინელმა სამხედროებმა ქუჩებში დაყრილი ასობით ცხედარი იპოვეს. ბუჩის ქუჩებში რუსმა სამხედროებმა 458 ადამიანი მოკლეს.[70]

***დასკვნა: რუსების მიერ გავრცელებული ნარატივი, თითქოს რუსული ავიაცია არ ბომბავს სამოქალაქო ინფრასტრუქტურას და არ ხოცავს მშვიდობიან მოსახლეობას, ტყუილია. აგვისტოს ომის, სირიული კამპანიისა და უკრაინის ომის ქრონიკები საპირისპიროზე მეტყველებს. სამივე შემთხვევაში რუსული ავიაციის დაბომბვების შედეგად განადგურდა სამოქალაქო შენობები, მსხვერპლმა ასობით, ზოგჯერ კი ათასობით ადამიანი შეადგინა.***

69. "500 Children Killed during Russian Invasion of Ukraine – Ukrainian Prosecutor General's Office." n.d. Ukrainska Pravda. https://www.pravda.com.ua/eng/news/2023/08/13/7415366/.

70. "War Crimes Watch: A Devastating Walk through Bucha's Horror." 2022. AP NEWS. April 9, 2022. https://apnews.com/article/russia-ukraine-europe-war-crimes-7791e247ce7087dddf64a2bbdcc5b888.

# რუსული ტყუილი N 6

## „უკრაინას ნაცისტები მართავენ. უკრაინის ნაცისტურმა ხელისუფლებამ დონბასში რუსულენოვან მოსახლეობას გენოციდი მოუწყო“

**მითის ანატომია:** მას შემდეგ, რაც ევრომაიდნის რევოლუციამ იანუკოვიჩის ხელისუფლება პროდასავლური ხელისუფლებით შეცვალა, რუსული პროპაგანდის სამიზნე უკრაინის პროდასავლური ხელისუფლება გახდა. 2014 წლიდან მოყოლებული, რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, და მისმა გარემოცვამ აქტიურად დაიწყეს საუბარი იმაზე, თითქოს უკრაინას ნაცისტები მართავენ და ნაცისტური ხელისუფლება ქვეყანაში რუსულენოვანი მოსახლეობის მისამართით რეპრესიებს ახორციელებდა. ამ ცრუ ნარატივის თანახმად, 2014-2021 წლებში უკრაინის ხელისუფლებამ დონბასში მცხოვრებ რუსულენოვან მოსახლეობას გენოციდი მოუწყო. პუტინის რეჟიმმა 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში სრულმასშტაბიან ინტერვენციას „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ უწოდა, რისი მიზანიც თითქოს უკრაინის „დემილიტარიზაცია“ და „დენაციფიკაცია“ იყო. პუტინი თითქმის ყველა გამოსვლაში ხაზს უსვამდა იმას, რომ რუსული არმიის სამხედრო მოქმედებები მხოლოდ და მხოლოდ უკრაინელი ხალხისა და უკრაინაში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობის ნაცისტური რეჟიმისგან გათავისუფლებისკენ იყო მიმართული. *„ამ ოპერაციის მიზანია, დაიცვას ის ხალხი, რომელიც 8 წლის განმავლობაში კიევის რეჟიმის მხრიდან დამცირებისა და გენოციდის მსხვერპლი იყო. სწორედ ამიტომ ჩვენი მიზანია უკრაინის დემილიტარიზაცია და დენაციფიკაცია, ისევე როგორც იმ რეჟიმის გასამართლება, რომელმაც ჩაიდინა ურიცხვი სისხლიანი დანაშაული უკრაინის მოქალაქეების, მათ შორის რუსეთის მოქალაქეების, წინააღმდეგ“*[71] - ამ სიტყვებით „გაამართლა“ რუსეთის პრეზიდენტმა

71. Treisman, Rachel. 2022. “Putin’s Claim of Fighting against Ukraine ‘Neo-Nazis’ Distorts History, Scholars Say.” NPR, March 1, 2022, sec. Europe. https://www.npr.org/2022/03/01/1083677765/putin-denazify-ukraine-russia-history.

უკრაინაზე თავდასხმა. რუსული პროპაგანდისტული გზავნილი თითქოს უკრაინას ნაცისტები/ნეონაცისტები მართავენ და ნაცისტურმა რეჟიმმა დონბასში რუსულენოვან მოსახლეობას გენოციდი მოუწყო, სიცრუეა. ამ ტყუილის მიზანი უკრაინაში რუსეთის შეჭრის „სამართლიანობის" ილუზიის შექმნა იყო.

**რეალობა:**

**1. უკრაინის კანონმდებლობით აკრძალულია ნაცისტური და კომუნისტური იდეოლოგია. რადიკალურ მემარჯვენე ჯგუფებს უკრაინის არჩევნებში არასდროს აუღიათ ხმების 2%-ზე მეტი** - 2015 წელს უკრაინის ხელისუფლებამ გამოსცა კანონი, რომელიც ნაცისტურ და კომუნისტურ იდეოლოგიებს გმობდა. ამასთან, კანონმდებლობით აიკრძალა ნაცისტური და კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდა და მათი სიმბოლოების გამოყენება.[72] უკრაინაში რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების არსებობის მიუხედავად, საზოგადოებაში მათი პოპულარობა არასდროს ყოფილა შესამჩნევად მაღალი, შესაბამისად, მათ ვერცერთ არჩევნებში მოახერხეს რაიმე ხელშესახები წარმატების მიღწევა. საგულისხმოა, რომ ევროპული სახელმწიფოების გარკვეულ ნაწილში რადიკალმა მემარჯვენე პარტიებმა და კანდიდატებმა იმაზე უკეთესი შედეგები დააფიქსირეს, ვიდრე უკრაინაში. მაგალითად, საფრანგეთის 2022 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რადიკალმა მემარჯვენე კანდიდატმა, მარინ ლე პენმა, ხმების 41.45% მიიღო, მაშინ, როდესაც 2019 წლის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში რადიკალმა მემარჯვენე კანდიდატმა, რუსლან კოშულინსკიმ, ხმების მხოლოდ 1.64%-ის მოგროვება მოახერხა. საპარლამენტო არჩევნებში გაერთიანებულმა ნაციონალისტურმა პლატფორმამ ხმების 2.15% მიიღო.

უკრაინაში ნაცისტური რეჟიმის არსებობის რუსულ მითს აბსურდულს ხდის ის ფაქტი, რომ უკრაინის პრეზიდენტი, ვოლოდიმირ ზელენსკი, ებრაული წარმოშობის რუსულენოვანი უკრაინელია, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის დაყენებამდე უკრაინულ ენას ცუდად ფლობდა. 2019 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ზელენსკიმ ხმების 73% მიიღო.[73] საინტერესოა, როგორ მოახერხა უკრაინის მოსახლეობის თითქმის ყველა სეგმენტის (მოსახლეობის ¾-ის) გულის მოგება ზელენსკიმ, თუ ის ანტირუსული და ანტიებრაული განწყობების მქონე ნეონაცისტი ლიდერი იყო, მაშინ,

72. "Про засудження комуністичного та націонал-соціалістичного (нацистського) тоталітарних режимів в Україні та заборону пропаганди їхньої символіки." n.d. Офіційний вебпортал парламенту України. https://zakon.rada.gov.ua/laws/show/317-19#Text.

73. BBC. 2019. "Ukraine Election: Comedian Zelensky Wins Presidency by Landslide." BBC News, April 22, 2019, sec. Europe. https://www.bbc.com/news/world-europe-48007487.

როდესაც 2022 წლის მონაცემებით უკრაინის მოსახლეობის 30%-ზე მეტი რუსულენოვან მოსახლეობას შეადგენდა? საგულისხმოა, რომ არჩევნებში ზელენსკის მთავარი დასაყრდენი უკრაინის რუსულენოვანი რეგიონები იყო, განსხვავებით პეტრო პოროშენკოსგან, რომელსაც მეტად ნაციონალისტური განწყობების მქონე ამომრჩეველი უჭერდა მხარს.

**2. 2014-2021 წლებში დონბასში მიმდინარე ომს 14 500 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, აქედან მშვიდობიანი მოსახლეობა 3 404 ადამიანი იყო. მსხვერპლის რაოდენობის 90% 2014-2015 წლებზე მოდის, როდესაც რეგიონში რუსეთი ადგილობრივი სეპარატისტების დახმარებით უკრაინის ხელისუფლებას ებრძოდა** - პუტინის მიერ გაჟღერებული ნარატივი უკრაინის ხელისუფლების მიერ დონბასის რუსულენოვანი მოსახლეობის წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდის შესახებ ტყუილია 3 ძირითადი მიზეზის გამო: 1. 2014-2022 წლებში დონბასში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებს 14 500 ადამიანი შეეწირა. 8 წლის განმავლობაში 14 500 მოქალაქის სიკვდილი არ აკმაყოფილებს გენოციდის საერთაშორისო სამართლებრივ კატეგორიას; 2. საერთო მსხვერპლიდან მშვიდობიანი მოქალაქეების რაოდენობა 3 404 ადამიანს შეადგენდა, 6500 კონფლიქტში მონაწილე რუსი სეპარატისტი და 4 400 უკრაინელი სამხედრო იყო. შესაბამისად, მშვიდობიანი მოსახლეობა სამოქალაქო მსხვერპლის 23.4%-ს შეადგენდა; 3. 8 წლის განმავლობაში სამოქალაქო მსხვერპლის შემთხვევათა 90% 2014 და 2015 წლებზე მოდის, პერიოდზე, როდესაც რუსეთის დახმარებით დონბასელმა სეპარატისტებმა უკრაინის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები დაიწყეს.[74] დამატებით, ზემოხსენებულ გზავნილს აბსურდულს ხდის რუსული არმიის მოქმედებები უკრაინის რუსულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში. უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ რუსული ავიაცია ყველაზე დიდი სისასტიკით სწორედ ეთნიკური რუსებით დასახლებულ რეგიონებს (ხარკოვი, მარიუპოლი, დონბასი) ბომბავდა.

**3. უკრაინაში ნაცისტური რეჟიმის არსებობაზე საუბრობს სახელმწიფო, რომლის ერთ-ერთი მთავარი გასამხედროებული დაჯგუფება - „ვაგნერი“ ნეონაცისტურ პლატფორმაზეა დაფუძნებული** - პუტინის რუსეთში ათობით ნეონაცისტური ჯგუფი არსებობს. აქედან ყველაზე ცნობილი „ვაგნერის ჯგუფია“ - დაქირავებული მებრძოლების დაჯგუფება, რომელიც კრემლის დირექტივებით შეიქმნა. ვაგნერის ჯგუფის მთავარი დამფუძნებლები ევგენი პრიგოჟინი და დმიტრი უტკინი იყვნენ, რომელთაც მკაფიოდ გამოკვეთილი ნეონაცისტური მისწრაფებები ჰქონდათ. დაჯგუფების ძირითად ბირთვს თადარიგის

74. Kitsoft. n.d. “سفارت اوکراین در جمهوری اسلامی ایران - Fake: Ukraine Committed Genocide against Donbas Inhabitants.” Iran.mfa.gov.ua. https://iran.mfa.gov.ua/fa/news/fake-ukraine-committed-genocide-against-donbas-inhabitants.

ოფიცრობა წარმოადგენდა. უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ვაგნერის რიგები განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენმა პატიმრებმა შეავსეს. ჯგუფის სახელწოდება - „ვაგნერი“ ნეონაცისტურ სიმპათიებზე მიანიშნებს - გერმანელი კომპოზიტორი - რიჰარდ ვაგნერი ჰიტლერის საყვარელი კომპოზიტორი იყო. ვაგნერის ჯგუფს ნაცისტების მსგავსი სიმბოლიკა აქვს. დაჯგუფების გერბის ცენტრში მოთავსებული შავი W წითელ ფონზე, რომელიც ნაცისტური გერმანიის მთავარი სიმბოლოს - ასევე წითელ ფონზე თეთრ რგოლში ჩასმულ შავ სვასტიკას მოგვაგონებს.[75] ჯგუფის ნეონაცისტურ მიდრეკილებებზე მეტყველებს მისი ისტორიაც. ვაგნერი მონაწილეობას იღებდა სირიისა და ლიბიის სამოქალაქო ომებში, სადაც განსაკუთრებული სისასტიკით გაითქვა სახელი. ამის შემდეგ ვაგნერმა აფრიკაშიც გაიდგა ფესვები, სადაც რუსული გავლენის გაძლიერებაზე მუშაობდა (მალი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა). უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ სწორედ ვაგნერი გახდა დონბასის რეგიონში მებრძოლი ჯგუფი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.[76] შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის მხრიდან უკრაინელ ნაცისტებზე საუბარი, მაშინ, როდესაც უკრაინაში ვაგნერის ჯგუფი რუსეთის არმიის მოწინავე ძალას წარმოადგენდა, აბსურდულია.

***დასკვნა: ზემოხსენებული არგუმენტების გათვალისწინებით, რუსული პროპაგანდისტული მითი უკრაინაში ნაცისტური ხელისუფლებისა და დონბასში რუსულენოვანი მოსახლეობის გენოციდის შესახებ, დეზინფორმაციას წარმოადგენს და მიზნად ისახავს უკრაინაში წარმოებული ომის „სამართლიანობის“ ილუზიის შექმნას.***

75. ceb95. 2023. “The Wagner Group Explained.” Yale University Press. July 7, 2023. https://yalebooks.yale.edu/2023/07/07/the-wagner-group-explained/.

76. BBC. 2022. “What Is Russia’s Wagner Group of Mercenaries in Ukraine?” BBC News, April 5, 2022, sec. World. https://www.bbc.com/news/world-60947877.

# რუსული ტყუილი N 7

## „რუსეთი გლობალური სუპერსახელმწიფოა“

**მითის ანატომია:** საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ რუსეთმა სუპერსახელმწიფოს სტატუსი დაკარგა, 1990-იან წლებში ის იმდენად იყო დასუსტებული, რომ დასავლური დახმარების გარეშე არსებობა უბრალოდ არ შეეძლო. ეს მდგომარეობა რუსეთის ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლამ და ნავთობზე ფასების ზრდამ შეცვალა, მაგრამ, ამის მიუხედავად, სსრკ-ის ნგრევის შემდეგ რუსეთი ოდნავადაც არ მიახლოებია სიძლიერის ისეთ მასშტაბს, როგორიც 1945-91 წლებში ჰქონდა.

თუმცა ვლადიმერ პუტინი დიდი ამბიციების მქონე მმართველი აღმოჩნდა და ხელისუფლებაში ყოფნის პირველივე დღეებიდან დაიწ-ყო იმაზე მუშაობა, რომ რუსეთისთვის დიდი გლობალური ძალის მქონე სახელმწიფოს იმიჯი შეექმნა. საამისოდ პირველი ნაბიჯი 2000 წელს ბარენცის ზღვაში მასშტაბური საზღვაო წვრთნების დაწყება იყო, რაც საბოლოოდ ატომური წყალქვეშა ნავის - კურსკის ჩაძირვით დასრულდა. ძლევამოსილების დემონსტრირების პირველი მცდელობა კატასტროფული გამოდგა, რუსეთმა დამოუკიდებლად წყალქვეშა ნავის ფსკერიდან ამოტანაც კი ვერ შეძლო და იძულებული გახდა, დახმარება ნორვეგიისა და ბრიტანეთისგან მიეღო. კურსკის ეკიპაჟის ყველა წევრი დაიღუპა.

დასავლეთთან შედარებით სამხედრო და ტექნოლოგიური ჩამორ-ჩენილობის მიუხედავად, პუტინს ჩანაფიქრზე ხელი არ აუღია და რუსეთის სიდიადეზე მასშტაბური პროპაგანდისტული კამპანია წამოიწყო, რომ-ლის სამიზნე აუდიტორიას რუსეთი, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები და დასავლეთი წარმოადგენენ. ამ პროპაგანდის მიზანია რუსეთში საზოგადოების პუტინის ირგვლივ გაერთიანება, რუსეთის საზღვრებს გარეთ კი კრემლისადმი შიშის დამკვიდრება.

რუსეთის „უძლეველობასა და სიდიადეზე“ პროპაგანდისტული მითები ვრცელდება საქართველოშიც. 2014 წელს ნინო ბურჯანაძე

აცხადებდა, რომ რუსეთი სუპერსახელმწიფოა და მის დიდ ბერკეტებს მთელი მსოფლიო უწევს ანგარიშს.[77] რუსეთთან დაკავშირებით მსგავსი მესიჯები საქართველოში პერიოდულად ვრცელდებოდა ხოლმე, თუმცა მან ახალი მასშტაბი რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ შეიძინა. *„ვერასდროს ვერ მოუგებს უკრაინა რუსეთს ომს... შეიარაღების თვალსაზრისით რუსეთი ეჯიბრება ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორ შეიძლება უკრაინამ მოუგოს ომი...“*[78] - აცხადებდა დავით თარხან მოურავი 2023 წლის დასაწყისში. მსგავსი რიტორიკა მუდმივად ისმის ძალადობრივ ჯგუფ ალტინფოს ეთერებში, სადაც ამტკიცებენ, რომ რუსეთი *„თავის ჭკუაზე ატრიალებს მსოფლიოს“, „უკრაინას სრული ძალით არ ებრძვის“*[79] და ა.შ.

**რეალობა:**

**1. რუსეთი იმდენად სუსტია, რომ სუპერსახელმწიფოდ ყოფნის კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს** - სუპერსახელმწიფო არის ქვეყანა, რომელსაც გააჩნია საკმარისი სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებლობები საიმისოდ, რომ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მყოფ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოზე იქონიოს გავლენა. დღეს ერთადერთი ასეთი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატებია. რაც შეეხება რუსეთს, მისი ეკონომიკა ზომით ოდნავ აღემატება იტალიისას[80], შეიარაღებულ ძალებს კი იმის შესაძლებლობებიც არ აღმოაჩნდათ, რომ, სამხედრო უპირატესობის მიუხედავად, უკრაინაში პუტინის მიერ დასახული მიზნები შეესრულებინათ. უკრაინა დღემდე აგრძელებს ეფექტურ წინააღმდეგობას და ომის პირველ თვეებში დროებით დაკარგულ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენას. სუპერსახელმწიფოები, როგორც წესი, მათზე გაცილებით სუსტ მოწინააღმდეგესთან ომის სამხედრო კომპონენტს ყოველთვის წარმატებით ართმევენ თავს. ერთადერთი რამ, რაც რუსეთს შეიძლება სუპერსახელმწიფოსთვის შესაფერისი ჰქონდეს, ეს მასშტაბური ბირთვული არსენალია.

77. “„რუსეთი არის სუპერსახელმწიფო“ Kvira.ge.” 2014. Kvira.ge. March 4, 2014. http://kvira.ge/16632.

78. „თარხან-მოურავი: ვერასოდეს, ვერანაირ პირობებში ვერ მოუგებს უკრაინა ომს რუსეთს, ესაა ბოდვა.“ 2023. Tabula. February 13, 2023. https://tabula.ge/ge/news/697113-tarkhan-mouravi-verasodes-veranair-pirobebshi-ver.

79. Mtisambebi.ge. n.d. „როგორ ამართლებს „ალტ-ინფო“ პუტინის მიერ უკრაინაში კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებს.“ Mtisambebi.ge. https://mtisambebi.ge/news/item/1471-rogor-amartlebs-%E2%80%9Ealt-inpo%E2%80%9C-putinis-mier-ukrainashi-kazobriobis-xinashe-chadenil-danashaulebs.

80. Silver, Caleb. 2022. “The Top 25 Economies in the World.” Investopedia. September 1, 2022. https://www.investopedia.com/insights/worlds-top-economies/.

**2. რუსეთი ტექნოლოგიურ და სამხედრო სფეროში ბევრად ჩამორჩება აშშ-ს და მის მოკავშირეებს** - რუსეთის სამხედრო ინდუსტრიას დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია და ის კრიტიკულადაა დამოკიდებული რუსეთის ფარგლებს გარეთ დამზადებულ კომპონენტებზე, მეტწილად ეს კომპონენტები დასავლური ტექნოლოგიებია. სუპერსახელმწიფოს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს საკუთარი სამხედრო ინდუსტრიის გამართვა და არ უნდა იყოს დამოკიდებული ისეთ ქვეყნებზე, რომლებსაც თავად მოწინააღმდეგედ განიხილავს. დასავლური მიკროჩიპების გარეშე რუსეთი ვერ ააწყობდა იმ რაკეტებსაც კი, რომლებითაც ასე ამაყობს.[81]

**3. განვითარების დონით რუსეთი შესამჩნევად ჩამორჩება არა მხოლოდ დასავლეთს, არამედ მის განვითარებულ მეზობლებსაც** - შედარებისთვის, რუსეთის ფართობი 17 მილიონ კვ. კმ-ზე მეტია, იაპონიის კი - 380 ათასიც არ არის, მაგრამ, ამის მიუხედავად, რუსეთსა და იაპონიაში თითქმის თანაბარი ზომის საგზაო ინფრასტრუქტურაა მოწყობილი. რუსეთში 1.28 მილიონი კილომეტრის გზაა დაგებული, იაპონიაში კი - 1.22 მილიონის.[82] ფართობით რუსეთი იაპონიაზე 45-ჯერ დიდი სახელმწიფოა, თუმცა ამ ორ ქვეყანას დაახლოებით ერთი ზომის საგზაო ინფრასტრუქტურა აქვს მოწყობილი; მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველუნარიანობის პარიტეტით რუსეთი მსოფლიოს წამყვან 50 ქვეყანაშიც კი არ შედის;[83] რუსეთის მოსახლეობის 20%-ზე მეტს სახლში არ აქვს კანალიზაცია,[84] რაც 30 მილიონ ადამიანზე მეტს შეადგენს; უმაღლესი განათლების ხარისხით რუსეთი ასევე ბევრად ჩამორჩება დასავლეთს, Times Higher Education-ის მიხედვით, 2023 წლის მსოფლიოს საუკეთესო 200 უნივერსიტეტს შორის მხოლოდ ერთია რუსული, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი 163-ე პოზიციას იკავებს.[85] რუსეთი ერთი ჩამორჩენილი ქვეყანაა, რომელიც

81. Óscar Gutiérrez (special correspondent. 2023. "The Missiles Russia Deploys against Ukraine Have Western Parts." EL PAÍS English. August 13, 2023. https://english.elpais.com/international/2023-08-13/the-missiles-russia-deploys-against-ukraine-have-western-parts.html.

82. "Road Network Worldwide 2020, by Country." n.d. Statista. https://www.statista.com/forecasts/1150796/road-network-by-country.

83. "World Bank Open Data." n.d. World Bank Open Data. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?locations=TH%2F&most_recent_value_desc=true.

84. Times, The Moscow. 2019. "Indoor Plumbing Still a Pipe Dream for 20% of Russian Households, Reports Say." The Moscow Times. April 2, 2019. https://www.themoscowtimes.com/2019/04/02/indoor-plumbing-still-a-pipe-dream-for-20-of-russian-households-reports-say-a65049.

85. Times Higher Education. 2022. "World University Rankings." Times Higher Education

2022 წლამდე მხოლოდ ძლიერი ჯარით თუ იწონებდა თავს, მაგრამ უკრაინის გმირულმა ბრძოლამ ამ მითსაც წერტილი დაუსვა.

***დასკვნა: რუსეთის მცდელობა, საკუთარი თავი სუპერსახელმწიფოდ წარმოაჩინოს, ვერანაირ კრიტიკას უძლებს. რუსეთი განვითარების დონით ჩამორჩება არამხოლოდ ერთადერთ სუპერსახელმწიფოს - აშშ-ს, არამედ მის მეზობელ ქვეყნებსაც კი, რომელთაც სუპერსახელმწიფოდ ყოფნის ამბიცია არ გააჩნიათ.***

(THE). October 4, 2022. https://www.timeshighereducation.com/world-university-rankings/2023/world-ranking#.

# რუსული ტყუილი N 8

## „აშშ ისეთივე აგრესორია, როგორიც რუსეთი“

**მითის ანატომია:** დღეს უკვე ყველაზე მეტად პრორუსული განწყობების მქონე ადამიანებიც კი ვეღარ მალავენ იმას, რომ ბოლო 3 ათწლეულის განმავლობაში რუსეთის წამოწყებულ ომებს ასობით ათასი და შეიძლება მეტი ადამიანიც კი ემსხვერპლა. რთულია, გაამართლო ის, რაც ამ ქვეყანამ დაატრიალა ჩეჩნეთში (ორჯერ - პირველი და მეორე ომები), საქართველოში (სამჯერ - ჯერ სამაჩაბლო, შემდეგ აფხაზეთი და ბოლოს 2008 წლის 7 აგვისტო), უკრაინაში (ორჯერ - 2014 და 2022) და სირიაში (2015-2017). რუსეთის მიერ წამოწყებული ომები, რომლებიც თითქმის ყოველთვის ეთნიკური წმენდის ნიშნებს ატარებს, უბრალოდ ვერ მართლდება, ამიტომ რუსული პროპაგანდა ამ შემთხვევაში დასავლეთისა და მეტწილად აშშ-ის წინააღმდეგ აქტიურად იყენებს ისრების გადატანის ტაქტიკას, ის შემდეგნაირია: „მე შეიძლება ცუდი ვარ, მაგრამ ამერიკა უარესია.“

რუსი პროპაგანდისტების „საყვარელი თემა” აშშ-ის მიერ ავღანეთსა და ერაყში ინტერვენციაა. რუსეთი ცდილობს წარმოაჩინოს, თითქოს დასავლეთი ამ ორ ქვეყანაში შეიჭრა და იქ მშვიდობიანი მოსახლეობა დახოცა, რადგან ამერიკა იმპერიალისტია.[86] ამ ნარატივის გავრცელებისას რუსეთი ხშირად მიმართავს დეზინფორმაციასა და სხვადასხვა მანიპულაციას. ამ პროპაგანდისტული ნარატივის მიზანია, რუსეთი და აშშ ერთ სიბრტყეზე იყოს განხილული, თუ რუსეთი აგრესორად აღიქმება, აშშ და დასავლეთიც ასეთად უნდა მიიჩნეოდეს.

**რეალობა:**

**1. ავღანეთის შემთხვევაში ინტერვენციის მთავარი მიზანი 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზატორების დასჯა იყო, რომლებიც ამ ქვეყანას აფარებდნენ თავს. ინტერვენცია სრულიად აკმაყოფილებდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს** - აღსანიშნავია, რომ ავღანეთში

86. Sputnikსაქართველო. 2021. „მოსაზრება: ამერიკა დიდი ომის შედეგებს ითვლის.“ Sputnik საქართველო. 2021. https://sputnik-georgia.com/20210906/mosazreba-amerikis-mier-warmoebuli-omebis-sesaxeb-259348667.html.

ტერორიზმის წინააღმდეგ აშშ-ის კამპანიას ვლადიმერ პუტინმა მხარიც კი დაუჭირა.[87] აშშ-ის მიერ ავღანეთში ინტერვენციის დაწყების წინ ეს ქვეყანა სხვადასხვა ძალების მიერ იყო დაყოფილი და მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებასა და პრაქტიკულად ომის პირობებში ცხოვრობდა, აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ ავღანეთის 20 წლით დაკავება, ალბათ ამ ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მშვიდობიანი პერიოდია. 2001 წლიდან 2020 წლამდე ავღანეთის მოსახლეობა 19-დან 39 მილიონამდე გაიზარდა.[88] ამავე პერიოდში აშშ-მა ავღანეთს დახმარების სახით გადასცა 120 მილიარდ დოლარზე მეტი.[89]

**2. აშშ არასდროს შეჭრილა დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც ადამიანის უფლებები დაცულია. ის ქვეყნები, სადაც შტატებმა ინტერვენცია განახორციელა, ან საერთაშორისო მშვიდობას უქმნიდნენ საფრთხეს, ან თავის მოქალაქეებს, ან ორივეს ერთად** - 2001 წელს ავღანეთი ტერორისტების მთავარი თავშესაფარი იყო, სადამ ჰუსეინის ერაყი კი - ავტორიტარული რეჟიმი. ჰუსეინის მმართველობას 2 მილიონამდე ადამიანი ემსხვერპლა: ერაყში 250-290 ათასამდე ადამიანია უგზო-უკვლოდ დაკარგული ან გარდაცვლილი. განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდნენ ქურთებსა და შიიტებს, რომელთა წინააღმდეგ გენოციდიც მოხდა.[90] ჰუსეინის მიერ 1980 წელს ირანის წინააღმდეგ დაწყებულ ომს სხვადასხვა გათვლებით მილიონ ადამიანზე მეტი ემსხვერპლა.[91] როგორც წესი, რუსეთი ასეთ ავტორიტარულ რეჟიმებთან მეგობრობს და ძირითადად დემოკრატიულ ქვეყნებს ესხმის თავს, რომლებიც საფრთხეს არავისთვის წარმოადგენენ, ამიტომ აშშ-ისა და რუსეთის ერთ სიბრტყეზე განხილვა მართებული არ არის. ისევე როგორც გაუმართლებელია საქართველოსა და უკრაინის შედარება ტერორისტების სამალავ ფუნდამენტალისტურ ავღანეთსა და გენოციდების მომწყობ სადამ ჰუსეინის ერაყთან.

87. McFaul, Michael, and Michael McFaul. 2001. "U.S.-Russia Relations after September 11, 2001." Carnegie Endowment for International Peace. October 24, 2001. https://carnegieendowment.org/2001/10/24/u.s.-russia-relations-after-september-11-2001-pub-840.

88. "Afghanistan Population 1950-2021." n.d. Www.macrotrends.net. https://www.macrotrends.net/countries/AFG/afghanistan/population.

89. "FACT SHEET: Continued U.S. Support for a Peaceful, Stable Afghanistan." 2021. The White House. June 25, 2021. https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2021/06/25/fact-sheet-continued-u-s-support-for-a-peaceful-stable-afghanistan/.

90. "HRW: Justice for Iraq: A Human Rights Watch Policy Paper." 2019. Hrw.org. 2019. https://www.hrw.org/legacy/backgrounder/mena/iraq1217bg.htm.

91. The Editors of Encyclopaedia Britannica. 2018. "Iran-Iraq War | Causes, Summary, Casualties, & Facts." In Encyclopædia Britannica. https://www.britannica.com/event/Iran-Iraq-War.

**3. აშშ ყოველწლიურად ათობით მილიარდ დოლარს ხარჯავს უცხო ქვეყნების დასახმარებლად**[92] - აშშ მსოფლიოში ყველაზე მეტს ხარჯავს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ეს დახმარება ჯანდაცვის, ეკონომიკის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, ეკოლოგიის, განათლებისა და მრავალი სხვა საჭირო დარგის განვითარებას ხმარდება. ამის საპირისპიროდ რუსეთმა 2023 წელს თავდაცვის ბიუჯეტი გააორმაგა, რათა უკრაინაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა გააგრძელოს და აწარმოოს ომი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე სასტიკი ომია ევროპაში.[93]

***დასკვნა: რუსეთსა და აშშ-ს შორის ტოლობის ნიშნის დასმა მართებული არ არის, ერთ მხარეს გვაქვს სახელმწიფო, რომელიც დემორატიული ქვეყნების წინააღმდეგ გაუმართლებელ ომებს აწარმოებს და მეორე მხარესაა აშშ, რომელიც ათობით მილიარდ დოლარს ხარჯავს ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად. ასევე არ შეიძლება რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ ომების შედარება ავღანეთისა და ერაყის სამხედრო კამპანიებთან, რადგან ორივე ქვეყანაში, საქართველოსა და უკრაინისგან განსხვავებით, ათწლეულობის განმავლობაში გაბატონებული იყო არაჰუმანური რეჟიმები, რომლებმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს.***

92. "ForeignAssistance.gov." 2010. Foreignassistance.gov. 2010. https://www.foreignassistance.gov.

93. Faulconbridge, Guy. 2023. "Blood and Billions: The Cost of Russia's War in Ukraine." Reuters, August 23, 2023, sec. Europe. https://www.reuters.com/world/europe/blood-billions-cost-russias-war-ukraine-2023-08-23/.

# რუსული ტყუილი N 9

## „რუსეთის შიშით მთავრობები გარბიან“

**მითის ანატომია:** ფსიქოლოგიური ომის წარმოებაში რუსეთის ერთ-ერთი აქტიურად გამოყენებული ნარატივი მოწინააღმდეგისთვის სიმხდალის დაბრალებაა. სულ მცირე, ბოლო 100 წელია რუსეთი ამ ტაქტიკას რეგულარულად იყენებს, მათ შორის, აღნიშნული მითის მსხვერპლი, სულ მცირე, ორჯერ ქართველი საზოგადოებაც გახდა. პირველად 1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა შეთხზა ლეგენდები ქართველი სოციალ-დემოკრატების გაქცევასთან დაკავშირებით,[94] მეორედ კი - პუტინმა 2008 წელს საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიერ ომის დღეებში ქვეყნის დატოვებასთან დაკავშირებით.[95] მსგავსი ნარატივები ვრცელდებოდა 2022 წლის თებერვალში ზელენსკისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ, ამის გამო უკრაინის პრეზიდენტი რამდენჯერმე იძულებული გახდა, რუსული ბომბების ქვეშ მყოფი კიევის ქუჩებში გასულიყო და მისი დედაქალაქში ყოფნის დასტურად ვიდეორგოლები ჩაეწერა.[96]

აღნიშნული მითების გავრცელებით რუსეთი საწყის ეტაპზე მოწინა-აღმდეგის რიგებში დემორალიზაციის შეტანას ცდილობს, ამის ბოლო მაგალითი უკრაინის წინააღმდეგ 2022 წლის თებერვალში განხო-რციელებული ფსიქოლოგიური ოპერაციაა. რუსეთის გათვლებით, ზელენსკის გაქცევაზე მითს უკრაინის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმ-ძღვანელობასა და მოსახლეობაში ქაოსი უნდა გამოეწვია, რაც რუსეთს უკრაინის ანექსიას გაუადვილებდა, თუმცა, საბედნიეროდ, ეს გეგმა წარუმატებელი აღმოჩნდა. მეორე მიზანი დაპყრობილ ქვეყანაში ფეხის მოკიდებაა, რომლის მსხვერპლიც საქართველო 1921 წელს გახდა. ტყუილებმა პირველი რესპუბლიკის მთავრობის გაქცევის შესახებ

94. „Civil Georgia | საბჭოთა პროპაგანდა დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ – ნაწილი პირველი.“ n.d. Civil.ge. https://civil.ge/ka/archives/417143.
95. გურინი ნიკა. 2020. „გადაკვეთეს თუ გადმოკვეთეს საზღვარი 2008 წლის ომის.“ Mythdetector.ge. August 11, 2020. https://mythdetector.ge/ka/gadakvethes-thu-gad-mokvethes-sazghvari-2008-tslis-omis-dros-khelisuphlebis-tsarmomadgenlebma-2/.
96. “Zelenskyy: I’ll Remain in Kyiv.” n.d. Www.youtube.com. https://www.youtube.com/watch?v=u0-Yeqh4PFY.

კომუნისტებს საქართველოში პოზიციების გამყარება გაუადვილა, ქართველთა მეხსიერებაში კი, სოციალ-დემოკრატების მიერ წარმატებით განხორციელებული მრავალი პროგრესული რეფორმის ნაცვლად, „მენშევიკები“ საკუთარი ხალხის მოღალატე კრიმინალებად იქცნენ, მათი დისკრედიტაციით კომუნისტური რეჟიმი ზოგადად ქართული სახელმწიფოს იდეის დისკრედიტაციას ცდილობდა.

სამწუხაროდ, რუსების მიერ შემუშავებულ ამ მიდგომას იყენებს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც, რომელიც მისი წინამორბედის დისკრედიტაციის მიზნით სიტყვა-სიტყვით იმეორებს რუსეთის მიერ შექმნილ პროპაგანდისტულ მითს 2008 წლის აგვისტოს შესახებ[97] და ამით ნებსით თუ უნებლიეთ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

**რეალობა:**

**1. ნოე ჟორდანიას მთავრობას საქართველო უბრძოლველად არ დაუტოვებია, მიუხედავად შაშხანების, ვაზნების, არტილერიისა და ჭურვების უკიდურესი დეფიციტისა, საქართველო წინააღმდეგობას თბილისის დაცემის შემდეგაც აგრძელებდა** - რუსეთთან ომი 17 მარტამდე გაგრძელდა. როდესაც წინააღმდეგობის გაწევის ყველა შესაძლო საშუალება ამოიწურა, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დააპატიმრებდნენ და კაპიტულაციაზე ხელის მოწერას და ბოლშევიკებისთვის ხელისუფლების გადაცემას აიძულებდნენ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას იურიდიულ ნიადაგს გამოაცლიდა და რუსულ ოკუპაციას დააკანონებდა.[98] ასევე აღნიშვნის ღირსია, რომ 1921 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატთა დიდი ნაწილი საქართველოში დარჩა, ემიგრაციაში წასულთაგან კი ზოგი 1924 წელს აჯანყების მოსაწყობად უკან დაბრუნდა. ისინი ბოლშევიკურმა რეჟიმმა დაატყვევა და დახოცა.[99]

**2. ქვეყნიდან ასევე არ გაქცეულა 2008 წელს საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება. საზღვრის კვეთის მონაცემებზე დაყრდნობით**

97. „მამუკა მდინარაძე - „ომის პარტიამ“ და მათმა თანამოაზრეებმა თავი დაანებონ ომის პროპაგანდას, მეორე მხრივ, სხვადასხვა სპიკერის მეშვეობით ეროვნულ ინტერესებსა და ფასეულობებზე თავდასხმებს.“ n.d. 1TV. https://1tv.ge/news/mamuka-mdinaradze-omis-partiam-da-matma-tanamoazreebma-tavi-daanebon-omis-propagandas-meore-mkhriv-skhvadaskhva-spikeris-meshveobit-erovnul-interesebsa-da-faseulobebze-tavdaskhme/.

98. “7 მითი რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომზე.” n.d. NETGAZETI.ge. https://netgazeti.ge/opinion/343224/.

99. “Civil Georgia | 1924 წლის აგვისტოს აჯანყება: 11 დახვრეტილი ქართველი პარლამენტარი.” n.d. Civil.ge. https://civil.ge/ka/archives/318072.

**აშკარაა, რომ 7-17 აგვისტოს პერიოდში საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლების უმრავლესობა ქვეყნიდან არა თუ გავიდა, არამედ უკან დაბრუნდა** - მათი ნაწილი შვებულების გასატარებლად უცხოეთში ომის დაწყებამდე გავიდა, რუსული აგრესიის დაწყებისთანავე კი უკან, საქართველოში, დაბრუნდა. აღნიშნული ფაქტი ოფიციალური დოკუმენტებით დასტურდება და ის ნებისმიერ მსურველს შეუძლია გამოითხოვოს.

**3. ასევე ზედმეტია უკრაინის შემთხვევაში ზელენსკისა და მისი მთავრობის გაქცევაზე საუბარი. ალბათ ისტორიას დარჩება მისი სიტყვები იმ პარტნიორების მიმართ, რომლებიც მას კიევის უსაფრთხოდ დატოვებაში დახმარებას სთავაზობდნენ: „მე შეიარაღება მჭირდება და არა ტაქსი.“** - აქვე, საინტერესო ფაქტი: უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო ვლადიმირ პუტინი, არავინ იცოდა, სად იყო რუსეთის პრეზიდენტი, გავრცელებული ხმებით, ის ბუნკერში იმალებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი იმ დროს ისეთივე უსაფრთხო ქალაქი იყო, როგორიც ომის დაწყებამდე. გაუგებარია, რატომ გაქრა პუტინი რადარებიდან იმ მომენტში, როცა რუსეთმა სსრკ-ის დანგრევის შემდეგ ყველაზე მასშტაბური ომი წამოიწყო.

***დასკვნა: რუსეთის პროპაგანდისტების მტკიცება, რომ ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე რუსეთის წინააღმდეგ საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებები უბრძოლველად გარბოდნენ, სიცრუეა და ის ისტორიული ფაქტებით არ დასტურდება.***

# რუსული ტყუილი N 10

## „უკრაინელები დაღუპული მებრძოლების ორგანოებით ვაჭრობენ“

**მითის ანატომია:** მითი იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინის ხელისუფლება დაღუპული სამხედროების ორგანოებით ვაჭრობს, კრემლის პროპაგანდისტების მიერ ერთ-ერთი ხშირად გავრცელებული ტყუილია. აღსანიშნავია, რომ ამ პროპაგანდისტული დეზინფორმაციის გავრცელება 2022 წელს არ დაწყებულა, რუსეთის ხელისუფლება მის მიერ მტრულად მიჩნეული ქვეყნების მიმართ ამ ნარატივს წლებია ამუშავებს და მისი მსხვერპლი თავის დროზე საქართველოც გამხდარა. უკრაინის წინააღმდეგ მსგავსი საინფორმაციო ოპერაცია რუსეთმა აქტიურად 2014 წლიდან დაიწყო. 2019 წელს შეთხზეს შეთქმულება, რომლის მიხედვითაც უკრაინელი მაღალჩინოსნები დასავლეთის ქვეყნებთან ერთად ადამიანის ორგანოებით უკანონო ვაჭრობაში იყვნენ ჩართული.[100]

რუსეთის მიერ შემუშავებულ ამ დეზინფორმაციას აქტიურად ავრცელებენ საქართველოში მყოფი კრემლისტური ჯგუფები და „ქართულ ოცნებასთან“ ღიად აფილირებული აქტორებიც. 2022 წლის პირველ დეკემბერს TV სეზონის ეთერში წამყვანმა ნიკოლოზ მჟავანაძემ განაცხადა, რომ უკრაინაში ორგანოებით ვაჭრობის ბიზნესი ამოქმედდა და ორგანოები სხვადასხვა ქვეყნებში გააქვთ.[101] რუსულ მედიასა და საქართველოში კრემლთან აშკარად დაკავშირებულ ჯგუფებს არ ჩამორჩა „ქართულ ოცნებასთან“ მჭიდრო კავშირში მყოფი უცნობი და 2023 წლის 16 ივლისს უკრაინა მანაც დაადანაშაულა ადამიანის ორგანოების ქვეყნის გარეთ გადატანაში.[102]

100. ჩხეტიანი ლიკა. 2019. „კრემლის აქტორების განმეორებითი ტყუილი უკრაინელი ჯარისკაცების ორგანოებით ვაჭრობის შესახებ.“ Mythdetector.ge. December 5, 2019. https://mythdetector.ge/ka/kremlis-aqtorebis-ganmeorebithi-tqhui-li-ukraineli-jariskatsebis-organoebith-vatchrobis-shesakheb-2/.

101. “Facebook.” n.d. Www.facebook.com. https://www.facebook.com/TVSezoni/posts/1134640637191223/.

102. თვაური თინათინ. 2023. „აი უცნობი’ უკრაინაში ორგანოებით ვაჭრობაზე

როგორც სხვა მრავალი მითის შემთხვევაში, რუსეთის მიზანი ამჯერად იმის დემონსტრირებაა, რომ თავად სინათლის მხარეს იბრძვის, დანარჩენები კი უზნეო კრიმინალები, ნაცისტები, გარყვნილები, ადამიანის ორგანოებით მოვაჭრენი არიან. ამ აზრის გასამყარებლად ის მრავალ ტყუილს იგონებს და სხვადასხვა მანიპულაციას მიმართავს.

**რეალობა:**

**1. საველე პირობებში შეუძლებელია შესაბამისი სამედიცინო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს გარდაცვლილის სხეულიდან ორგანოების უსაფრთხოდ ამოღებას, საჭირო პირობებში შენახვას, მის ტრანსპორტირებასა და ბოლოს მიმღებისთვის გადანერგვას.**

**2. ადამიანის ორგანოებს სხეულს გარეთ მხოლოდ შეზღუდული დროით შეუძლიათ გადარჩენა** - ორგანოების უმეტესობის შემთხვევაში ეს დრო 4-დან 6 საათამდე მერყეობს, 1 დღეზე მეტი ხნით მხოლოდ თირკმლის შენარჩუნებაა შესაძლებელი და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მას მუდმივად მიეწოდება ჟანგბადი და შესაბამის პირობებშია შენახული,[103] ამის უზრუნველყოფა კი საბრძოლო პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია.

**3. ყველა ფაქტი, რომლებიც რუსეთს უკრაინაში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის მტკიცებულებად მოჰყავდა, მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა** - არცერთი ავტორიტეტული მედია, ჟურნალისტი თუ ორგანიზაცია არ საუბრობს უკრაინის მიერ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაზე. ეს მხოლოდ რუსეთისა და მასთან დაკავშირებული მედიის მიერ შეთხზული ზღაპრებია. დასავლეთში მედია, საგამოძიებო სამსახურები და სასამართლო რომ თავისუფალია, ამაზე ბევრი ფაქტი მეტყველებს, მათ შორის ხშირია შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტური გამოძიებები პოლიტიკოსებსა თუ მაღალი თანამდებობის პირებს კორუფციასა და სხვა დანაშაულებში ამხელენ და უკრაინა და დასავლეთის ქვეყნები რომ 2014 წლიდან ადამიანის ორგანოების უკანონო ვაჭრობის სქემაში ყოფილიყვნენ ჩართული, ეს აქამდე აუცილებლად მიიქცევდა მედიის ან რომელიმე ქვეყნის საგამოძიებო უწყებების ყურადღებას.

***დასკვნა: უკრაინის მიერ ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების ორგანოებით ვაჭრობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ტყუილია, რადგან რუსულ მხარეს არ წარმოუდგენია ერთი მტკიცებულებაც კი. გარდა ამისა, ლოჯისტიკურად მსგავსი ოპერაციის გამართვა პრაქტიკულად შეუძლებელია.***

---

კრემლის კონსპირაციის თეორიას იმეორებს.“ Mythdetector.ge. July 24, 2023. https://mythdetector.ge/ka/ai-utsnobi-ukrainashi-organoebith-vatchrobaze-kremlis-konspiratsiis-theorias-imeorebs/.

103. “Matching Donors and Recipients | Organdonor.gov.” n.d. Www.organdonor.gov. https://www.organdonor.gov/learn/process/matching#criteria.

# ბიბლიოგრაფია

„7 მითი რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომზე.“ n.d. NETGAZETI.ge. Accessed September 29, 2023. https://netgazeti.ge/opinion/343224/.

„Civil Georgia | 1924 წლის აგვისტოს აჯანყება: 11 დახვრეტილი ქართველი პარლამენტარი.” n.d. Civil.ge. Accessed September 29, 2023. https://civil.ge/ka/archives/318072.

„Civil Georgia | საბჭოთა პროპაგანდა დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ – ნაწილი პირველი.“ n.d. Civil.ge. Accessed September 29, 2023. https://civil.ge/ka/archives/417143.

„ანტიდასავლური პროპაგანდა 2020.“ 2020. მედიის განვითარების ფონდი (MDF).

„გამჭვირვალობის კოლეგიალური შეფასების ვიზიტი ლუგარის ცენტრში, საქართველო დამოუკიდებელი ანგარიში.“ 2018. წარდგენილია საქართველოს მიერ.

„თარხან-მოურავი: ვერასოდეს, ვერანაირ პირობებში ვერ მოუგებს უკრაინა ომს რუსეთს, ესაა ბოდვა.“ 2023. Tabula. February 13, 2023. https://tabula.ge/ge/news/697113-tarkhan-mouravi-verasodes-veranair-pirobebshi-ver.

„მამუკა მდინარაძე - „ომის პარტიამ“ და მათმა თანამოაზრეებმა თავი დაანებონ ომის პროპაგანდას, მეორე მხრივ, სხვადასხვა სპიკერის მეშვეობით ეროვნულ ინტერესებსა და ფასეულობებზე თავდასხმებს.“ n.d. 1TV. Accessed September 29, 2023. https://1tv.ge/news/mamuka-mdinaradze-omis-partiam-da-matma-tanamoazreebma-tavi-daanebon-omis-propagandas-meore-mkhriv-skhvadaskhva-spikeris-meshveobit-erovnul-interesebsa-da-faseulobebze-tavdaskhme/.

„ნატოს გაფართოება საფრთხეს უქმნის რუსეთს - პუტინი.“ n.d. Ghn.ge. Accessed September 29, 2023. https://ghn.ge/news/236397-natos-gafartoeba-safrtkhes-ukmnis-rusets-putini.

„რუსეთი არის სუპერსახელმწიფო“ Kvira.ge. 2014. Kvira.ge. March 4, 2014. http://kvira.ge/16632.

Gvantsa Kokoshvili. 2021. „ევროკავშირის პროექტი EU4Culture საქართველოს რეგიონების ქალაქებს კულტურის განვითარებაში დაეხმარება - EU for Georgia.“ EU for Georgia. September 10, 2021. https://eu4georgia.eu/ka/%E1%83%94%E1%83%

95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98-eu4culture-%E1%83%A1/.

Hizan. n.d. „აგვისტოს ომი 2008.“ Augustwar.radiotavisupleba.ge. Accessed September 29, 2023. https://augustwar.radiotavisupleba.ge/.

Mtisambebi.ge. n.d. „როგორ ამართლებს „ალტ-ინფო“პუტინის მიერ უკრაინაში კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებს.“ Mtisambebi.ge. Accessed September 29, 2023. https://mtisambebi.ge/news/item/1471-rogor-amartlebs-%E2%80%9Ealt-inpo%E2%80%9C-putinis-mier-ukrainashi-kazobriobis-xinashe-chadenil-danashaulebs.

Sputnik საქართველო. 2021. „მოსაზრება: ამერიკა დიდი ომის შედეგებს ითვლის.“ Sputnik საქართველო. 2021. https://sputnik-georgia.com/20210906/mosazreba-amerikis-mier-warmoebuli-omebis-sesaxeb-259348667.html.

არაბული ნასტასია. 2023. „2008 წლის ომი და ომის შედეგები რიცხვებში.“

გელავა სოფო. 2017. „მითი: აშშ ებრძვის კულტურულ თვითმყოფადობას, მოსკოვი მესამე რომია.“ Mythdetector.ge. February 23, 2017. https://mythdetector.ge/ka/mithi-ashsh-ebrdzvis-kulturul-thvithmqhophadobas-moskovi-mesame-romia/.

გურინი ნიკა. 2020. „გადაკვეთეს თუ გადმოკვეთეს საზღვარი 2008 წლის ომის.“ Mythdetector.ge. August 11, 2020. https://mythdetector.ge/ka/gadakvethes-thu-gadmokvethes-sazghvari-2008-tslis-omis-dros-khelisuphlebis-tsarmomadgenlebma-2/.

თევზაძე მანანა. 2014. „მითი, თითქოს დასავლეთი ებრძვის საქართველოს კულტურულ თვითმყოფადობას, მცდარია.“ Mythdetector.ge. October 28, 2014. https://mythdetector.ge/ka/mithi-thithqos-dasavlethi-ebrdzvis-saqarthvelos-kulturul-thvithmqhophadobas-mtsdaria/.

თვაური თინათინ. 2023. „‘აი უცნობი’ უკრაინაში ორგანოებით ვაჭრობაზე კრე.“ Mythdetector.ge. July 24, 2023. https://mythdetector.ge/ka/ai-utsnobi-ukrainashi-organoebith-vatchrobaze-kremlis-konspiratsiis-theorias-imeorebs/.

მითების დეტექტორი. 2023. „ლევან ვასაძის 3 მანიპულაცია ნატოს გაფართოებაზე,.“ Mythdetector.ge. March 1, 2023. https://mythdetector.ge/ka/levan-vasadzis-3-manipulatsia-natos-gapharthoebaze-chechnethsa-da-ruseth-saqarthvelos-molaparakebebze/.

სოფრომაძე თამარ. 2022. „რომელი საკულტო ნაგებობების რესტავრაციაში დაეხმარა ამერიკა საქართველოს?“ Mythdetector.ge. August 8, 2022. https://mythdetector.ge/ka/romeli-sakulto-nagebobebis-restavratsiashi-daekhmara-amerika-saqarthvelos/.

ჩხეტიანი ლიკა. 2019. „კრემლის აქტორების განმეორებითი ტყუილი უკრაინელი ჯარისკაცების ორგანოებით ვაჭრობის შესახებ.“ Mythdetector.ge. December 5, 2019. https://mythdetector.ge/ka/kremlis-aqtorebis-ganmeorebithi-tqhuili-ukraineli-jariskatsebis-organoebith-vatchrobis-shesakheb-2/.

Nato.int. 2022. “NATO-Russia: Setting the Record Straight.” NATO. September 21, 2022. https://www.nato.int/cps/en/natohq/115204.htm.

BBC. 2022. “What Is Russia’s Wagner Group of Mercenaries in Ukraine?” BBC News, April 5, 2022, sec. World. https://www.bbc.com/news/world-60947877.

Worldpopulation.com. 2023. “Suicide Rate by Country 2020.” Worldpopulationreview.com. 2023. https://worldpopulationreview.com/country-rankings/suicide-rate-by-country.

“500 Children Killed during Russian Invasion of Ukraine – Ukrainian Prosecutor General’s Office.” n.d. Ukrainska Pravda. Accessed September 29, 2023. https://www.pravda.com.ua/eng/news/2023/08/13/7415366/.

“A Speech Delivered at the MSC 2007 by the President Vladimir Putin.” n.d. https://is.muni.cz/th/xlghl/DP_Fillinger_Speeches.pdf.

“Afghanistan Population 1950-2021.” n.d. Www.macrotrends.net. https://www.macrotrends.net/countries/AFG/afghanistan/population.

“Chris Wallace Interviews Russian President Vladimir Putin.” n.d. Www.youtube.com. Accessed September 29, 2023. https://www.youtube.com/watch?v=rHY8yG4mVzs&t=929s.

“Civil Georgia | Head of RosPotrebNadzor Accuses Georgia of ‘Sabotaging’ Russia with Swine Fever.” n.d. Civil.ge. https://civil.ge/archives/186295.

“Countries Ranked by Intentional Homicides, Female (per 100,000 Female).” n.d. Www.indexmundi.com. https://www.indexmundi.com/facts/indicators/VC.IHR.PSRC.FE.P5/rankings.

“Did NATO Promise Not to Enlarge? Gorbachev Says ‘No.’” n.d. Brookings. https://www.brookings.edu/articles/did-nato-promise-not-to-enlarge-gorbachev-says-no/.

“Divorce Rates by Country 2020.” 2023. Worldpopulationreview.com. 2023. https://worldpopulationreview.com/country-rankings/divorce-rates-by-country.

“Drug Use by Country 2022.” 2023. Worldpopulationreview.com. 2023. https://worldpopulationreview.com/country-rankings/drug-use-by-country.

“Facebook.” n.d. Www.facebook.com. Accessed September 29, 2023. https://www.facebook.com/TVSezoni/posts/1134640637191223/.

“FACT SHEET: Continued U.S. Support for a Peaceful, Stable Afghanistan.” 2021. The White House. June 25, 2021. https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2021/06/25/fact-sheet-continued-u-s-support-for-a-peaceful-stable-afghanistan/.

“FOREIGN ASSISTANCE International Efforts to Aid Russia’s Transition Have Had Mixed Results“.” 2000. United States General Accounting Office Report to the Chairman and to the Ranking Minority Member, Committee on Banking and Financial Services, House of Representatives.

"ForeignAssistance.gov." 2010. Foreignassistance.gov. 2010. https://www.foreignassistance.gov.

"Home." n.d. Extranet.who.int. https://extranet.who.int/ssa/LeftMenu/Index.aspx?utm_source=Stopping%20attacks%20on%20health%20care%20QandA&utm_medium=link&utm_campaign=Link_who.

"HRW: Justice for Iraq: A Human Rights Watch Policy Paper." 2019. Hrw.org. 2019. https://www.hrw.org/legacy/backgrounder/mena/iraq1217bg.htm.

"Item 7 of the Provisional Agenda Consideration of the Factual Reports of the Meetings of Experts Reflecting Their Deliberations, Including Possible Outcomes Building Confidence through Transparency: Peer Review Transparency Visit at the Richard Lugar Center for Public Health Research of the National Center for Disease Control and Public Health in Tbilisi, Georgia." n.d. https://factcheck.ge/storage/media/other/2022-03-17/d5ab6880-a5f6-11ec-882d-39ce50e23ae0.pdf.

"Matching Donors and Recipients | Organdonor.gov." n.d. Www.organdonor.gov. Accessed September 29, 2023. https://www.organdonor.gov/learn/process/matching#criteria.

"NATO-Russia Relations: The Background." n.d. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2020/4/pdf/2003-NATO-Russia_en.pdf.

"NOWHERE IS SAFE for US' UNLAWFUL ATTACKS and MASS DISPLACEMENT in NORTH-WEST SYRIA." n.d. https://www.amnesty.org/download/Documents/MDE2420892020ENGLISH.PDF.

"Over 115 Holy Sites Damaged in Ukraine since Start of Russian Invasion, Top UN Official Tells Security Council, Urging Respect for Religious Freedom | UN Press." n.d. Press.un.org. https://press.un.org/en/2023/sc15366.doc.htm.

"Road Network Worldwide 2020, by Country." n.d. Statista. https://www.statista.com/forecasts/1150796/road-network-by-country.

"Russia/Syria: Daily Cluster Munition Attacks." 2016. Human Rights Watch. February 8, 2016. https://www.hrw.org/news/2016/02/08/russia/syria-daily-cluster-munition-attacks.

"Russia/Syria: War Crimes in Month of Bombing Aleppo." 2016. Human Rights Watch. December 5, 2016. https://www.hrw.org/news/2016/12/01/russia/syria-war-crimes-month-bombing-aleppo.

"Russia's Putin Says Western Leaders Broke Promises, but Did They?" n.d. VOA. https://www.voanews.com/a/russia-putin-western-leaders-nato-expansion/6392427.html.

"The Unexpected Theologian: The Rise of Religious Messaging in Putin's Re-Making of Russian State Identity > Air University (AU) > Wild Blue Yonder." n.d. Www.airuniversity.af.edu. https://www.airuniversity.af.edu/Wild-Blue-Yonder/Article-

Display/Article/3511835/the-unexpected-theologian-the-rise-of-religious-messaging-in-putins-re-making-o/.

“War Crimes Watch: A Devastating Walk through Bucha’s Horror.” 2022. AP NEWS. April 9, 2022. https://apnews.com/article/russia-ukraine-europe-war-crimes-7791e247ce7087dddf64a2bbdcc5b888.

“WEAPONS Proliferation Agreement between the UNITED STATES of AMERICA and UKRAINE Signed at Kiev.” 2005. https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/02/05-829-Ukraine-Weapons.pdf.

“Wikiwand - Prostitution Statistics by Country.” n.d. Wikiwand. Accessed September 29, 2023. https://www.wikiwand.com/en/Prostitution_statistics_by_country.

“World Bank Open Data.” n.d. World Bank Open Data. Accessed September 29, 2023. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?locations=TH%2F&most_recent_value_desc=true.

“Zelenskyy: I’ll Remain in Kyiv.” n.d. Www.youtube.com. https://www.youtube.com/watch?v=u0-Yeqh4PFY.

Arms Control Association. 2012. “Timeline of Syrian Chemical Weapons Activity, 2012-2019 | Arms Control Association.” Armscontrol.org. 2012. https://www.armscontrol.org/factsheets/Timeline-of-Syrian-Chemical-Weapons-Activity.

Baker, Peter. 2022. “In Ukraine Conflict, Putin Relies on a Promise That Ultimately Wasn’t.” The New York Times, January 9, 2022, sec. U.S. https://www.nytimes.com/2022/01/09/us/politics/russia-ukraine-james-baker.html.

BBC News. 2017. “Syria War: Russia Denies Bombing Civilians in Deir Al-Zour Village,” November 27, 2017, sec. Middle East. https://www.bbc.com/news/world-middle-east-42142579.

BBC. 2019. “Ukraine Election: Comedian Zelensky Wins Presidency by Landslide.” BBC News, April 22, 2019, sec. Europe. https://www.bbc.com/news/world-europe-48007487.

ceb95. 2023. “The Wagner Group Explained.” Yale University Press. July 7, 2023. https://yalebooks.yale.edu/2023/07/07/the-wagner-group-explained/.

Editors, History com. n.d. “5-Day Long Russo-Georgian War Begins.” HISTORY. https://www.history.com/this-day-in-history/5-day-long-russo-georgian-war-begins.

Faulconbridge, Guy. 2023. “Blood and Billions: The Cost of Russia’s War in Ukraine.” Reuters, August 23, 2023, sec. Europe. https://www.reuters.com/world/europe/blood-billions-cost-russias-war-ukraine-2023-08-23/.

Glanz, James, Marc Santora, Pablo Robles, Haley Willis, Lauren Leatherby, Christoph Koettl, and Dmitriy Khavin. 2023. “An inside Job.” The New York Times, June 16, 2023, sec. World. https://www.nytimes.com/interactive/2023/06/16/world/europe/ukraine-kakhovka-dam-collapse.html.

Graham-Harrison, Emma. 2016. “Russian Airstrikes in Syria Killed 2,000 Civilians in Six Months.” The Guardian, March 15, 2016, sec. World news. https://www.theguardian.com/world/2016/mar/15/russian-airstrikes-in-syria-killed-2000-civilians-in-six-months.

Human Rights Watch. 2023. “Ukraine: Events of 2022.” Human Rights Watch. January 12, 2023. https://www.hrw.org/world-report/2023/country-chapters/ukraine.

Kitsoft. n.d. “سفارت اوكراين در جمهوري اسلامي ايران - Fake: Ukraine Committed Genocide against Donbas Inhabitants.” Iran.mfa.gov.ua. https://iran.mfa.gov.ua/fa/news/fake-ukraine-committed-genocide-against-donbas-inhabitants.

McFaul, Michael, and Michael McFaul. 2001. “U.S.-Russia Relations after September 11, 2001.” Carnegie Endowment for International Peace. October 24, 2001. https://carnegieendowment.org/2001/10/24/u.s.-russia-relations-after-september-11-2001-pub-840.

NATO. 2021. “Collective Defence - Article 5.” NATO. November 23, 2021. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm.

Óscar Gutiérrez (special correspondent. 2023. “The Missiles Russia Deploys against Ukraine Have Western Parts.” EL PAÍS English. August 13, 2023. https://english.elpais.com/international/2023-08-13/the-missiles-russia-deploys-against-ukraine-have-western-parts.html.

Polglase, Gianluca Mezzofiore,Katie. 2022. “Russia Says It’s Not Hitting Ukraine’s Civilian Infrastructure. Evidence Suggests Otherwise.” CNN. February 26, 2022. https://edition.cnn.com/2022/02/25/europe/ukraine-russia-videos-civilians-intl-cmd/index.html.

Putin, Vladimir. 2014. “Address by President of the Russian Federation.” President of Russia. March 18, 2014. http://en.kremlin.ru/events/president/news/20603.

Radiotavisupleba.ge. August 7, 2023.

Silver, Caleb. 2022. “The Top 25 Economies in the World.” Investopedia. September 1, 2022. https://www.investopedia.com/insights/worlds-top-economies/.

The Editors of Encyclopaedia Britannica. 2018. “Iran-Iraq War | Causes, Summary, Casualties, & Facts.” In Encyclopædia Britannica. https://www.britannica.com/event/Iran-Iraq-War.

Times Higher Education. 2022. “World University Rankings.” Times Higher Education (THE). October 4, 2022. https://www.timeshighereducation.com/world-university-rankings/2023/world-ranking#.

Times, The Moscow. 2019. “Indoor Plumbing Still a Pipe Dream for 20% of Russian Households, Reports Say.” The Moscow Times. April 2, 2019. https://www.themoscowtimes.com/2019/04/02/indoor-plumbing-still-a-pipe-dream-for-20-of-russian-households-reports-say-a65049.

Treisman, Rachel. 2022. “Putin’s Claim of Fighting against Ukraine ‘Neo-Nazis’ Distorts History, Scholars Say.” NPR, March 1, 2022, sec. Europe. https://www.npr.org/2022/03/01/1083677765/putin-denazify-ukraine-russia-history.

Welle (www.dw.com), Deutsche. n.d. “Fact Check: Putin’s Lies about the Bombing of Ukraine | DW | 10.07.2022.” DW.COM. https://www.dw.com/en/fact-check-putins-lies-about-the-bombing-of-ukraine/a-62419749.

World Population Review. 2021. “Alcoholism by Country 2020.” Worldpopulationreview.com. 2021. https://worldpopulationreview.com/country-rankings/alcoholism-by-country.

Www.washingtonpost.com. 2007. “Putin’s Prepared Remarks at 43rd Munich Conference on Security Policy,” February 12, 2007. https://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2007/02/12/AR2007021200555.html.

Марина Совина. 2022. “В США подтвердили наличие биологических исследовательских объектов на Украине.” Lenta.RU. Lenta.ru. March 9, 2022. https://lenta.ru/news/2022/03/09/nuland/.

“Американских биологов обвинили в экспериментах над грузинами.” 2018. Коммерсантъ. September 11, 2018. https://www.kommersant.ru/doc/3738485.

“Захарова: материалы в лабораториях США на Украине доказывают их преступную деятельность - ТАСС.” n.d. ТАСС. https://tass.ru/politika/14006329?utm_source=google.com&utm_medium=organic&utm_campaign=google.com&utm_referrer=google.com.

“Про засудження комуністичного та націонал-соціалістичного (нацистського) тоталітарних режимів в Україні та заборону пропаганди їхньої символіки.” n.d. Офіційний вебпортал парламенту України. https://zakon.rada.gov.ua/laws/show/317-19#Text.

9 789941 859915